619
1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 6 ივნისი 1971

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი. 1971 წლის 13 მაისი. შეხვედრა თბილისის აეროპორტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ამხ ლ. ი. ბრეჟნევთან.

ფოტო ო. თურქიასი (საქდესი).

თბილისი. ვ. ი. ლენინის ძეგლის შემკობა ყვავილებით.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6 (415) ივნისი, 1971 წ.

გამოცემის წელი 49-ე

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქართველოს მშრომელებთან ერთად, მთელმა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი. ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული საყოველთაო-სახალხო ზეიმად გადაიქცა. საქართველოს დედაქალაქს ეწვივნენ მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენელთა დელეგაციები. ქართველი ხალხის ყველაზე სასურველი და ძვირფასი სტუმარი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც მხურვალედ მიულოცა ჩვენს რესპუბლიკას დიდი დღესასწაული და საქართველოს სახელმწიფო დროშას ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიაბნია.

ამ დიდმა, სახალხო ზეიმმა ერთხელ კიდევ ნათელყო ქართველი ხალხის უსაზღვრო ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, ერთხელ კიდევ ნათლად დაანახა მსოფლიოს, რომ სამგზის ორდენოსანი რესპუბლიკის მშრომელები ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.


ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 1971 წლის 14 მაისი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** ოქტომბრის რევოლუციის ორდენს აბნევს საქართველოს სსრ დროშას.

ფოტო ო. თურქიასი.
(საქდესი)

11599



ნორჩი ლენინელები დღესასწაულზე.

თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე.



თეატრალიზებული წარმოდგენის მონაწილენი რუსთაველის პროსპექტზე.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ელიზბარ
ზედგინიძე

# შვილიშვილი

მოთხრობა



მხატვარი დ. ერისთავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამბობენ, ახლად დაბადებული ბავშვი სუფთა ფურცელიაო, რომელზეც ცხოვრება წერს განცდილ-გადატანილს. მე მჯერა ეს, მაგრამ მაინც მეეჭვება... ხანდახან გამიელვებს ხოლმე ისეთი აზრი, რომ ყველა ბავშვი ასი თუ ათასი წლის წინა დროის განმეორებაა, უფრო ნათლად — ხელახალი წარმოსახვაა. ასეთი იყო მისი წინაპარი და იმიტომ... ჩემი შვილიშვილი მაშინ მხოლოდ თვეებს ითვლიდა, როდესაც რაიმე მელოდიის გაგონებაზე მღეროდა:

— ა-ა-ა-ა-ა-!.. ის ამ ბგერას ცალ-ცალკე კი არ გამოთქვამდა, არამედ გადაბმულად აჟღერებდა, სწორედ ისე, როგორც დამწყები მომღერლები ვარჯიშობენ ხმის დასაყენებლად.

ბავშვის მამას მის გასაგონად ბევრჯერ უმღერია ჩვენი ნაღვლიანი ურმული, მალხაზის განშორების მწუხარე არია, არანაკლებ ჯავრით აღსავსე: „ო, მომეცით, მომეცით მე თავისუფლება“. ყველაფერი ეს ბევრჯერ სმენია ჩემს შვილიშვილს, ბავშვი გრძნობს სიმღერას... ესმის კიდეც, მაგრამ სდუმს... სდუმს ყურადღებით. იწერება თუ არა ეს განცდა ამ სუფთა ფურცელზე?.. ალბათ!.. შეიძლება ვიფიქროთ კიდეც, არა თუ იწერება, არამედ აღვიძებს და ხელახლა წარმოქმნის იმას, რაც უხსოვარ დროში იყო ჩასახული.

ჩემი შვილიშვილი ათი თვისაც არ იყო, როდესაც მანეჟი უყიდეს. სათამაშოები ჩაუწყეს და ჩასვეს შიგ. ბავშვს მანეჟი პირველად მოეწონა. რიკულებს ჩასჭიდებდა თეთრ, პატარა ფუნთუშა ხელებს და ოთხივე მხარეს შემოდიოდა. დაიღლებოდა და ჯდებოდა, ახლა სათამაშოებით ერთობოდა. როდესაც ესეც მობეზრდებოდა, წამოდგებოდა და ისევ რიკულებს ჩასჭიდებდა ხელებს. პატარა, სუსტი გულმკერდით ეკვროდა მოაჯირს, თითქოს გრძნობდა, რომ ის ტყვე იყო ამ მანეჟისა. იქიდან შესცქეროდა ფანჯარას, რომლიდანაც დღის სინათლე უხვად იღვრებოდა. ხედავდა ნაცნობ ნივთებს, მაგიდას, სკამებს, თავის სათამაშოებს —ცხენს, ველოსიპედს, მანქანას, მაგრამ მანეჟის გამო მისთვის მიუწვდომელი იყო ეს ყველაფერი. აი, ასეთ დროს, როდესაც ბავშვის გული ტყვეობას გრძნობს, უნდა ამოიყვანო, ლაღად გაუშვა, დაე, იბობღოს, თუნდაც დაეცეს, იატაკზე გაგორდეს, რომ მისი ნამცეცა გული არა მღეროდეს: „მომეცით, მომეცით მე თავისუფლებაო!..“ მანეჟი მაშინ არის სასიამოვნო, როდესაც მეზღვაურ ბედაურზე ხარ ამხედრებული და ლაღად გადაფრინდები მას. რას ვარგა ის მანეჟი, რომელიც გატყვევებს და ვერ გადალახავ, გინდ დიდი იყავი და გინდ ბავშვი!..

აი, ზის ჩემი შვილიშვილი მანეჟში. უფროსები მიდი-მოდიან, მათ ხომ საქმე არ გამოელევათ?.. „იჯდეს ბავშვი შიგ, — ფიქრობენ ისინი, — უვნებლად იქნება, თავს არ გაიტეხს, არაფერს წაეპოტინება, არაფერს გატეხს!“ მოვა დრო და აჭმევენ, თავის დროზე დააძინებენ, არც წყალს მოაწყურებენ, იმას კი ვერ ხვდებიან და ვერ გრძნობენ, რომ ბავშვი მანეჟის რიკულებიდან იცქირება, როგორც თავისუფლებას მოწყურებული და უსიტყვოდ მღერის: მომეცით, მომეცით თავისუფლებაო!

მე ხანდახან შევდიოდი ბავშვთან, იქვე სკამზე ჩამოვჯდებოდი და ისე ველაპარაკებოდი, როგორც მოზრდილ ადამიანს. თანდათან გაიგო ვინც ვიყავი, მალე ისიც ისწავლა, როგორ უნდა მოემართა ჩემთვის, წარმოთქვა „პაპა“ და ასკეცად გააძლიერა ჩემი სიყვარული. „ხო, გენაცვალე, მე პაპა ვარ შენი!“ — სიხარულით მივუგე მაშინვე და გულში ჩავიკარი. ბავშვმა გამიღიმა. გამიღიმა ნათელი ღიმილით, იმ წმინდა ღიმილით, გულის სინათლე რომ მოჰყვება თან და სახეზე მომაჯადოებელ შუქით იქარგება. მე მას ხელში ვერ ვიყვანდი. არ შეიძლებოდა ხელში აყვანა, გული მტკიოდა.

საკვირველია, ჩემს შვილიშვილს თითქოს ესმოდა, რომ ჩემთვის არ შეიძლებოდა მისი ხელში აყვანა და არც მთხოვდა, ამიყვანეო, ისე როგორც ბებიას, ხელებს რომ უწვდიდა, ჰკვიან, ცისფერ მოციმციმე თვალებს რომ მიაპყრობდა ხოლმე. მის ოთახში შევიდოდი თუ არა, ბავშვი მანეჟის რიკულებზე ხელებჩაჭიდებული მიირბენდა ხოლმე იმ სკამისაკენ, რომელიც მანეჟის გვერდით კედელთან იდგა, პატარა ხელს, პაწია თეთრ თითებს რამდენჯერმე დაარტყამდა სკამის საჯდომს და უსიტყვოდ მანიშნებდა აი, აქ, ჩემს ახლოს დაჯექიო.

— კარგი, შენი ჭირიმე, დავჯდები და ვისაუბროთ მე და შენ!

მას მართლაც მოსაუბრე უნდოდა ჰყოლოდა, მოსაუბრე და გამრთობი, რომ გულის ნადები გამოეხატა. და ჩვენ, პაპა და შვილიშვილი, ვსაუბრობდით, მე ჩვეულებრივად, ის კი თითო-ოროლა სიტყვით და თვალებით, ფუნთუშა ხელებით, გადახსნილი გულმკერდით, სულ საკოცნელად რომ მიზიდავდა.

— გიორგი, მე ვინა ვარ?..

— პაპა!..

— აბა, გაიმეორე.

— პა-პა! — უფრო ხმამაღლა და სიტყვის დაყოფით იმეორებდა.

— გიორგი, შენ ვინა ხარ?..

— კაცი!..

კაცი ვარო. მიხაროდა, კაცად რომ თვლიდა თავის თავს.

— გიორგი, გიყვარვარ?...

— ქი.

— აბა, თქვი კი.

— კი!..

— გიორგი, შენ ვისი ხარ?

სდუმს, არ იცის როგორ გამოთქვას.

ეზოდან მანქანის გუგუნი მოისმის. მაშინვე დააყურადა. უყვარს მანქანები. ფანჯრისკენ ხელს იშვერს და გაიძახის:

— გგლღღიიი! — ჰბაძავს გუგუნს.

თავიდანვე ვერ ვთქვი, რომ ჩემი პირველი შვილის პირველ შვილს გიორგი ჰქვია. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, პიროვნება ამაღლებს და ამშვენებს თავის სახელს და არა სახელი პიროვნებას. მთავარი ის არის სუფთა ფურცელზე ცხოვრებისაგან რა იწერება, ან და რა იღვიძებს საუკუნეთა წინათ ჩასახული, თორემ დაბადებიდან რაც ხარ, იგივე იქნები მუდამ. შეიძლება ცხოვრებამ ცოტაოდენად შეგცვალოს, მაგრამ ძირითადად მაინც ისა ხარ, რაც ათასი წლის წინათ იყო შენი წინამორბედი.

ერთხელ, ბავშვობისას, ჩვენს ეზო-ბაღში მამაჩემმა ერთი მეორის გვერდით მარწყვი და წიწიკა დათესა. ერთ და იმავე ადგილზე, ერთი და იგივე ნიადაგზე გაიხარა ტკბილზე ტკბილმა მარწყვმა და მწარეზე მწარე წიწაკამ.

— ხედავ, — მითხრა მამაჩემმა, — ამ მცენარეებში ნიადაგმა ვერაფერი შეცვალა, წიწაკა წიწაკად გაიზარდა, მარწყვი მარწყვად!

გიორგიც ის იქნება, რაც მისი წინამორბედი იყო...

პაპა მთელი სიცოცხლე თავისუფლებას უმღერის, უმღერის სიყვარულს და ისეთ ადამიანთ, რომლებსაც სიკეთით სავსე გული გააჩნიათ. სილაღე ჩემს შვილიშვილსაც უყვარს. ამის პირველი ნიშანი ის არის, რომ მანეჟს ვერ იტანს. ერთ დილას, როდესაც გიორგის გაეღვიძა, წლინახევრისაც არ იყო მაშინ, მიმოიხედა და შენიშნა, რომ მანეჟი აღარ იდგა თავის ადგილას. ღიმილით შესცქეროდა ხან დედას, ხან მამას. აშკარად ეტყობოდა, უხაროდა. აღარ ჩასვამდნენ შიგ...

ახლა იცით როგორი მოსიყვარულეა?! აიყვან ხელში და ჩაგეხუტება. ლოყას მხარზე დაგადებს და ხელს გადაგხვევს. ჯერ ლაპარაკი არ იცის, მაგრამ, აბა უმღერე. არც ერთი სიტყვა გაუგებარი არ დარჩება. სიტყვის შინაარსს ხმაზე ხვდება. ისუსება. ეტყობა მოსწონს, მაშასადამე, ესმის რას ნიშნავს: „პატარა შვილი, გულთან გაზრდილი“...

აბა, მწყრალად დაელაპარაკე, განა იტირებს? არა. ცოტა ხანს დაგაცდით, რომ გაიგოს უწყრებით თუ არა. თუ უწყრებით, გაგშორდებათ, აღარ მოგეკარებათ. არ უნდა შენი სიახლოვეც კი.

ბებიას მკერდთან უყვარს ყოფნა. თუკი მას დაინახავს, მაშინვე ანიშნებს, ამიყვანეო, ხელებს გაუწვდის. ვინც არ უნდა სთხოვოს, ბებიას ხელთაგან

არავისთან არ მივა. მას კი ჩაეკვრება, ჩაეხუტება.

გიორგის ხელჩაკიდებული მიჰყავს თავისი ბებია აივნიდან ქუჩაში გადასახედად, სადაც ხშირად გუგუნებენ ავტომანქანები.

ერთ დღეს ბაღში წავიყვანეთ.

ჭადრები, ნაძვები, ფიჭვები, ურთხმელები ბურავდნენ ხეივნებს. ბუჩქები და ყვავილები აფერადებდნენ გაზონებს. მოედნის შუაგულში გრანდიოზული შადრევანია აღმართული. იგი ათას ნაკადს, ათას ჩქერს, ათიათასობით ციმციმა წვეთებს სტყორცნის ჰაერში, მერე ძირს ტბასავით მოლივლივე აუზში ეცემა და ხელახლა მიცქრიალებს მაღლა და ასე განუწყვეტლივ, შეუჩერებლივ, უცვლელად გაისმის წკრიალი და შხუილი. იმ დღეს პირველად შეესწრო გიორგი ასეთ უცნაურ სანახაობას.

— წყალი, წყალი! — წამოიძახა და მოკლე, მაგრამ ძალზე სწრაფი ნაბიჯებით გაიქცა შადრევანისკენ. ხელის წატანება ვერ მოვასწარით. მხოლოდ შადრევნის ქვის ზღუდესთან დავეწიეთ.

წვრილი წინწკლები ეცემოდა თმებზე, ცქრიალა სახეზე და უცნაურობით გახარებული მოჯადოებულივით შესცქეროდა ერთმანეთში შერეულ შხეფებს.

— იდექი და უყურე. ისიამოვნე! — ვეუბნები.

გაიგო, მიხვდა.

იდგა და ტკბებოდა წყლის უცნაური მოძრაობით. იმ წყლის, რომელიც მისთვის სახლში პატარა ფინჯანით მიგვიწოდებია, ან საბავშვო აბაზანაში შეუგრძვნია თბილი და მშვიდი.

იდგა გიორგი მოლიმარე, შესცქეროდა წარმტაც ჩქერებს და ასე ეცნობოდა სიცოცხლის უცნაურ მოვლენას.

დაბინდდა. ელნათურები აინთო. უცებ შეიცვალა შადრევნის ნაკადებისა და ჩქერების ფერი. წყლის წვეთები აბზინვარდნენ. ხეთა ფოთლებზე სინათლეები ათამაშდნენ. ნაძვნარისა და ფიჭვნარის მწვანე ნემსებს ფოლადის ფერი გადაეკრათ. გიორგი პატარა ხელებს უწვდიდა წყლის ნაკადებს, სინათლის ლივლივს და ღიმილით შემომცქეროდა, თითქოს მეკითხებოდა ეს რა არისო?! ეს კი სიცოცხლის წყარო იყო, სიცოცხლის სუნთქვა!

იქვე პატარა ბიჭი იდგა, ასე, ორი წლისა იქნებოდა, ეტყობოდა, მას უკვე ენახა ეს ბაღიც, ეს შადრევანიც, ეს სინათლეებიც და გაზონებში მოფენილი უთვალავი ყვავილებიც. ის თავისთვის მარტო თამაშობდა. კანაფზე მიბმულ ლითონის პატარა ელმავალს ერთ წრეში ასრიალებდა. გიორგიმ ელმავალი შენიშნა და უცებ იმ ბიჭთან მიირბინა. დაილუნა, მანქანას ხელი წაავლო და აიღო. ბავშვი კანაფს ხელს არ უშვებდა.

— მამე! — შესძახა გიორგიმ, — მამე, — დაჟინებით მოსთხოვა.

— გაუშვი, გიორგი, გაუშვი, ეგ ხომ შენი არ არის?!.. — ვარიგებ.

მას არ ესმოდა რას ნიშნავდა — „შენი არ არის!“ რაც მოსწონდა, ის უნდოდა მას.

— გოჩა, მიეცი, დაუთმე შენი სათამაშო, ხედავ, ეგ შენზე პატარაა!—გაისმა იქვე მყოფი დედის ხმა.

გოჩამ მაინც არ გაუშვა კანაფს ხელი. ღონივრად ეწეოდა თავისკენ. „რატომ დავუთმო, ჩემიაო“ — ამბობდა მისი გამომეტყველება.

გიორგი ატირდა, ეწყინა, რატომ არ მაძლევსო. მოვიდა გოჩას დედა, თავის ბავშვს კანაფზე ხელი გააშვებინა.

გოჩა პატარა იყო, მაგრამ ჩაფსკვნილი, ძლიერი ბავშვის შთაბეჭდილებას სტოვებდა. პაწაწინა ხელები დაემუშტა და ყველას ისე შემოგვცქეროდა, თითქოს ასეთი ძალადობისათვის გვემუქრებოდა. იმას, ალბათ, სჯეროდა კიდეც, თუ შეგვებმებოდა, უსათუოდ მოგვერეოდა. ამ დროს მოვიდა მესამე ბიჭუნა. ის მათზე კარგა მოზრდილი იყო. ხუთიოდე წლის იქნებოდა. ის ველოსიპედზე იჯდა. გიორგის ახლა ველოსიპედი მოესურვა. ხელი გაუშვა ელმავალს, რომლის გამოც ასეთი აურზაური ატეხა და ველოსიპედისტს ხალათის კალთაზე ხელი მოჰკიდა, თავისკენ ეწეოდა, ჩამოდიო.

— დაგსვა? გინდა გაგატარო? — ალერსით მიმართა უფროსმა ბავშვმა.

— ქი. — მიუგო გიორგიმ და მიანათა მოცისფრო თვალები.

ალერსით, მოფერებით დასვა მან გიორგი თავის ველოსიპედზე, და, რადგან გიორგი პედალებს ვერ სწვდებოდა, თვითონ ატარებდა მას. კარგა ხანს ასეირნა, ბოლოს ორივენი ჩემს წინ გაჩერდნენ.

— აღარ გინდა? — შეეკითხა ველოსიპედის პატრონი.

— ა-ა! — მიუგო გიორგიმ, გადმოვიდა, შესცინა უცებ ბიჭს და იქამდე თავს უკრავდა, მანამ ველოსიპედისტმა არ შენიშნა. მას ისე გაეღიმა, როგორც დიდ ადამიანს გაეღიმება პატარის გულუბრყვილო საქციელზე. გიორგი „გმადლობ“-ს ვერ გამოთქვამდა, ის კი იცოდა, რომ თავის დაკვრა მადლობას ნიშნავდა.

— ბიჭუნა, რა გქვია შენ?

— დათო.

— რა გვარი ხარ?..

— ვაშაკიძე.

„მთელი სიცოცხლე ასეთი მოალერსე და მოსიყვარულე იქნება დათო ვაშაკიძე, მთელი სიცოცხლე, — გავიფიქრე, — გოჩა კი მებრძოლი, უსამართლობის დამთრგუნველი!“..

გიორგი იმ დღეს პირველად გაეცნო უცხო ბავშვებს, პირველად გაერია ხალხში და ბევრი რამ გაუკვირდა, ეუცნაურა, როდესაც ყველაფერი ისე არ იყო, როგორც მის სახლში, დედ-მამასთან, მამიდებთან, ბებიასთან და პაპასთან.

როდესაც ბაღი დავტოვეთ, უკვე ბნელოდა. მანქანა დავიკავეთ. მე შოფრის გვერდით დავჯექი. უკან დასხდნენ ბებია, გიორგის მამიდაშვილი პატარა გოგონა მედიკო, რომელსაც გიორგიმ ბედი შეარქვა, თვითონ კი ბებიის კალთაში ისე მოიკალათა, როგორც სამეფო ტახტზე. მოვედით. მანქანა სახლის წინ გაჩერდა. გადმოვიდა მედიკო, გადმოვიდა ბებია ხელში ატატებული ბავშვით, მე კი შოფერთან დავყოვნდი, რადგან გზაში წამოწყებული საუბარი ვერ მოვათავეთ.

— პაპა, პაპა! — მეძახოდა გიორგი.

ის იცქირებოდა მანქანის კარისკენ, ელოდა ჩემს გადმოსვლას, მე კი არ ვჩანდი. გიორგი ბებიას არ მიჰყვებოდა: გაიძახოდა პაპა, პაპა! თითქოს ეკითხებოდა, რატომ არ მოდისო.

აი მეც გადმოვედი, დამშვიდდა. როგორ იტევს მისი პატარა გული ასეთ დიდი სიყვარულს?!

და მე მგონია, მთელი სიცოცხლე ასეთი მოსიყვარულე იქნება იგი.

მკათათვე მცხუნვარე თვეა. თბილისი მზის ცეცხლში ეხვევა. ალმური ასდის ქვაფენილებს, ქუჩებს, მოედნებს. ვერაფერს შველიან ხეივნები და შადრევნები. ხალხი სოფლებისა და აგარაკებისაკენ მიეშურება. ჩემი პატარა გიორგიც მიდის სოფლად, დედულეთში, ქართლის გულის მშვენიერ სოფლისკენ, სადაც თრიალეთის მთების მწვანე კალთები, ფოთლოვანი ტყეები, ჩანჩქერები და ნაკადულები გარემოს სიგრილეს ჰფენს, გიორგის ფეთერ პატარა გულმკერდს, რომელსაც აქ, პაპანაქება სიცხეში ოფლის წვეთები მარგალიტებად აყრია, სიამეს აგრძნობინებს.



ის მიდის, მე და ბებია კი ქალაქში ვრჩებით.

დედამისს ხელში უჭირავს და რაც შეიძლება საჩქაროდ ჩადის კიბეებზე. ჩვენ ოთახის კართან ვდგავართ. ჩვენი გული და თვალი მიჰყვება თან. გიორგის ჰგონია, რომ ჩვენც მივყვებით მას. დედის მხრიდან კისერშემობრუნებული იცდის და გველის, თუ როდის ჩავალთ კიბეებზე, მაგრამ ჩვენ ვდგავართ და ჩუმად გავცქერით. ბავშვი განცვიფრებული შემოგვყურებს, თითქოს გვეკითხება, რაღას უცდით, რას გაჩუმებულხართ, წამოდითო. ბოლოს მიხვდა, რომ ჩვენ ვრჩებოდით და ხმამაღლა დაიძახა:

— პაპა!.. პაპა!..

გულში უხმოდ ვეალერსებოდი, ჩურჩულით ვეუბნებოდი:

— ჩემი პირველი შვილის ტკბილო სიმღერავ, ჩემო გულის გულო, გზაბედნიერად იარე დღეს და მთელი სიცოცხლე!..

გიორგი განაგრძობდა ძახილს. ხან პაპას გაიძახოდა, ხან ბებიას, ხელებსაც გვიწვდიდა, ჩვენი დატოვება არ უნდოდა, ჩვენ კი ვერ ვუსრულებდით სურვილს.

ოთახში შევბრუნდი და საწერ მაგიდაზე ნაღვლიანად დავხარე თავი. დიდხანს მდუმარედ ვიჯექი. ვფიქრობდი. ჩემს გონებაში ტკბილ-მწარე მოგონებებმა გადაირბინეს. მილულულ თვალთაგან შვილიშვილის უმწიკვლო სახე არ მშორდებოდა. ოთახის მდუმარებაში კი, როგორც შორეული მძლავრი ძახილი ჩამესმოდა მისი ხმა.

იმ ღამეს დიდმა სიყვარულმა სულის ამოუთქმელად დამაწერინა ეს მოთხრობა... სწორედ რომ დიდმა სიყვარულმა... ტყუილად არ უთქვამს ხალხს — შვილმა გულზე გადამიარა, შვილიშვილმა კი გულის გულზეო.

# დიდი სადღეგრძელო



ფიცხი ცხენი ჰყავდა გოგალეს, დღის სავალს სამხრობამდე დაჰკეცავდა... შინიდან წამოსული შირაქის ველზე, ბინებთან რომ მიაგელვებდა, ალვირს ბიჭებს მიუგდებდა, გახვითქულია და ატარეთ, ნიავმა არ დაჰკრასო. თვითონ ქარს ამოიღებდა, ცოტას წაიხემსებდა და მაშინვე ცხვარს მიაშურებდა, ყველაფერს მიიკითხ-მოიკითხავდა; მერე კი სალამოთი ცეცხლაპირას ყველას თავისი ოჯახის ამბავს ეტყოდა, ახლა სოფლისას მიაყოლებდა და ზამთრის გრძელი ღამე ისე შემოადნებოდა ხელში, ნახევარი სათქმელიც არ გაესრულებინა.

ახლა რაღა დაგემართა, გოგალე, მუხლმა ხომ არ გიღალატა, შინ რად ჩამომჯდარხარ?!

* * *

— გოგალეეე! — შესძახა ჩვენმა მეგზურმა სიკო ჯიქურიძემ ძველებური ჩუქურთმიანი სახლის ჭიშკართან და კარი შეაღო. მე და ჩემი მეგობარი ყარამან ყოჩიაშვილი უკან მივყევით.

რაკი სახლიდან არავინ გამოიხედა, ეზო მოვათვალიერეთ.

სიმინდის ფუჩეჩის ბულულიდან ჩამოსრიალდა ქერა ბერიკაცი და ხელების ბერტყვით წამოვიდა ჩვენსკენ. ბულულს იქიდან დედაკაცი და პატარა გოგონა გამოჩნდნენ.

ცოლ-ქმარმა ხელი ჩამოგვართვეს, კეთილი იყოს თქვენი მოსვლაო, დაგვლოცეს და ოჯახში მიგვიპატიჟეს. გოგალემ ჩვენი მისვლის მიზეზი გაიგო, უმცროსი შვილიშვილი დალი მუხლებზე დაისვა და სასაუბროდ მოემზადა.

— ნუ მიწყენთ, ბიჭებო და, სამოცდაშვიდი წლის კაცს ცოტა არ მექნება სათქმელი, ეს ორიოდე წელიწადია ველარ გავყევი ცხვარსა, მუხლები აღარ მემორჩილება.

მამაჩემი გაბრიელი თავის დღენი სულ ცხვარში იყო, ხომ იცით, როცა თუშს ახსენებთ, იქვე ცხვარი უნდა მოგაგონდეთ, თუში და ცხვარი უერთმანეთოდ არ ვარგანან. რაც კომბალს მოვერიე, მას აქეთ სულ ცხვარში ვარ. ბავშვობაში ძალიან დიდი დუხჭირი გადავიტანე, მაშინდელზე ბევრს არ ვილაპარაკებ, მოკლედ გეტყვით ყველაფერსა, თორემ დიდი ამბავია, შორს წაგვიყვანს.

პირველად რომ კოლმეურნეობა შედგა, აი მაშინ იყო დიდი ბრძოლა საჭირო, ბევრს არ ესმოდა და მაინც ცალ-ცალკე მიიწევდა; ერთ-ერთი პირველი კოლმეურნე მეც ვიყავი, მოვირეკე ჩემი ცხვარი და სხვისებს შევუერთე. ახალგაზრდა კაცი ფერმის გამგედაც ამირჩიეს. ვუძღვებოდი საქმეს, როგორც შემეძლო. არ დამავიწყდეს, ჩემი ელენეც მაშინ მოვიყვანე ცოლად და ჩემს ოჯახშიც დაიდგა აკვანი. ელენემაც მისცა მაგალითი ქალებს, ერთად ვშრომობდით კოლმეურნეობაში.

ერთხელ რაიკომში გამომიძახეს, ჩვენს საქმეებზე მელაპარაკნენ, მერე მითხრეს, მოსკოვის პირველ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე უნდა წახვიდეო. მაშინ იყო დიდი ვერცხლის მედალი რომ მარგუნეს და რადიომიმღებითაც დამასაჩუქრეს.

ოთახში გოგალეს მეუღლე შემოვიდა, ხელდახელ გააწყო სუფრა, ხელადით წითელი ღვინო შემოდგა და შვილიშვილი მუხლებიდან ააცალა პაპას.

გოგალემ ჭიქები შეავსო. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მისდევდა და მისი ცხოვრების გზაც ნელ-ნელა მოიწევდა დღევანდელი დღისაკენ.

— ხო და, მერე სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. როგორც შემეძლო, ისე ვუძღვებოდი სოფელს, თავი კი არც იქ შემირცხვენია...

სილნალში რომ ჯიშთსაშენი მეურნეობა გაიხსნა, შენ გამოცდილი ხარო, და ახლა იქ წამიყვანეს ბრიგადირად. აგერ ის თოფი, კედელზე რომ ჰკიდია, მაშინდელი საჩუქარია, აბა რა ვიცი, როგორ დავიკავეხო და ერთი ოცამდე სიგელი მაქვს მიღებული... მოდი, ახლა სამამულო ომში დაცემულ, ომის მონაწილე ვაჟკაცებს გაუმარჯოს. მშვიდობას გაუმარჯოს. მიირთვით და გეტყვით.

მეც წავედი სამშობლოს დასაცავად, ორმოცდახამში დავბრუნდი, უკვე დაჭრილი და საომრად გამოუსადეგარი. ჩემი ძმა ანდრო ფინეთის ომში დაიღუპა. რაკი მეომრად არა ვვარგოდი, ისევ ფერმის გამგედ დამაყენეს, მერე ბრიგადირადაც ვიყავი. ჩვენმა ახალგაზრდებმა უმაღლესები და ტექნიკუმები დაამთავრეს და ჩამოვიდნენ, გზაც იმათი იყო და ბოლოს მწყემსობიდან გავედი პენსიაზე. მწყემსობით დავიწყე და მწყემსობით დავამთავრე. ახლაც, ცხვარს რომ აატარ-ჩაატარებენ, გამკრავს ხოლმე გულში, მაგრამა მუხლი კი აღარ მიჭრის და...

თხუთმეტიოდე წლის ბიჭმა ფრთხილად შემოაღო კარი, მოგვესალმა.

— ბესიკ, აქ მოდი, ეს ჩემი შვილიშვილია, ამის მამა ლაზარე ბრიგადირია ცხვარში, მისი ტყუპის ცალი აბრამი მწყემსია, მესამე ვაჟი ვალიკო ვეტექიმია, რაიონის დამზადების კანტორის უფროსად მუშაობს. ყველას თავისი ოჯახი აქვს, თერთმეტი შვილიშვილი მყავს, თერთმეტი, — სიამაყით წარმოთქვა ბერიკაცმა, — კიდევაც მიემატებიან, გადიდდება იდიძეების გვარი! აი ეს გოგო ჩემი ქალისაა, ანეტასი. ქისტებმა მომტაცეს ქალი, კაცო, ქისტებმა. ჰაი დედასა, წინათ ქისტებსა მტრებს ვეძახდით, განა ეს სამართალი იყო!

გოგალემ ისევ შეავსო სასმისები.

მე ვისარგებლე და ბესიკს გავესაუბრე:

— რომელ კლასში ხარ?

— მეცხრეში.

— ცხვარში არ დადიხარ?

— ზაფხულს მუდამ მთაში ატარებს, — სიტყვა ჩამოართვა შვილიშვილს პაპამ, — უკვე თვითონ ინახავს თავის თავს, არც სწავლაში ჩამორჩება თანატოლებსა.

— ბესიკ, სწავლის გაგრძელებას არ აპირებ?

— რა ვიცი, წავალ თბილისში, ან ვეტექიმი გამოვალ, ან აგრონომი და მოვალ სოფელში, სხვაგან სადღა უნდა წავიდე, — გათამამდა ბიჭი.

— სად უნდა წავიდეს, კაცო! აბა ახლა ჩემს სახლიკაცს რეზოსა ჰკითხე, ისიც ამ ხუთი წლის წინ გავიდა პენსიაზე, ბრიგადირი იყო და ჩემს ლაზარეს ჩააბარა ბრიგადა, ლაზარემ ვილას უნდა ჩააბაროს?!..

ასე საუბარში ჩამოგვეცალა მეორე ხელადა, ჩვენ წასასვლელად წამოვიწიეთ.

— მოიტათ, კაცო, ერთი დიდი სადღეგრძელოც მათქმევინეთ; ახლახანს მოსკოვში იყვნენ ჩვენები, ხომ არა გგონიათ, გოგალე დაბერდა და ამ ქვეყნისა აღარაფერი იცის, ან გაზეთს არა კითხულობსო, ჩვენი მეურნეობის დირექტორი კოსტა ჯამრულიძეც გახლდათ იქა... მოდი მშრომელ კაცს გაუმარჯოს, გამრჯელი კაცის მარჯვენას, ვაზის ძირსა, ცხვრის მადლსა და ტრაქტორების ძალას. ოღონდ მშვიდობა იყოს ქვეყნად და რას აღარ გააკეთებს კაცის ხელი, აბა ერთი ეს დიდი სადღეგრძელოც ჩამომიცალეთ. არ გეგონოთ გოგალე დაბერდაო!

ბერიკაცმა ჭიქა გამოცალა და შვილიშვილს ბესიკს დაადო მხარზე ხელი.

იოსებ ჯაბადარი

ალვანი.

# ფიქრები... ფიქრები...

თინა დონჟაშვილი

1971 წელი... 19 მარტი... ვესნინის ქუჩაზე, იტალიის საელჩოში გამართულ საზეიმო ცერემონიალს დიდძალი სტუმრები ესწრებიან. იტალიის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი კაპუცო იტალიის პრეზიდენტის ბრძანებულებას კითხულობს: იტალიის რესპუბლიკამ თავისი უმაღლესი სამხედრო ჯილდო მიანიჭა ქართველ ჯარისკაცს ფორე მოსულიშვილს და თავის ეროვნულ გმირად აღიარა იგი...

ჩემს თვალწინ, ფიქრში უცებ გარიბალდის სახემ გაიკრთომა. იმ მაღალჭერიან, ფართოფანჯრებიან, ნატიფი ხელოვნებით მოხატულ დარბაზებში თითქოს ის იყო მასპინძელი, კაცი, ვისთვისაც სიყრმიდან სიბერემდე, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო ცხოვრების დედააზრი. მომეჩვენა ის ჯერ სრულიად ახალგაზრდა, მხარბეჭგაშლილი, ქერა გრუზათმიანი და ლურჯთვალება. განიერი ქუთუთოები ლომისებრ გულადობას აღბეჭდავენ მის სახეზე...

ისევ შორს მივყავარ ფიქრს... გასული საუკუნის ოცდაათიანი წლები... ევროპაში რეაქცია მძვინვარებს, აპენინის ნახევარკუნძულზე იტალია აღარ არსებობს. ავსტრიელი, ფრანგი და პრუსიელი დამპყრობლების და საკუთარი ფეოდალების საჯიჯგნი, ერთმანეთისაგან იზოლირებულ სამეფოებად, სამერცოგოებად და სამთავროებადაა იგი დაქუცმაცებული. ხალხი ირაზმება ტირანიის დასამხობად. ამოქმედდა კარბონარების საიდუმლო ორგანიზაცია. აჯანყდნენ ქალაქები და პროვინციები. აჯანყებულებს ულმობლად უსწორდებიან. სახრჩობელა, დახვრეტა, წამება... მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა ვეღარ ხერხდება, ძალთა უთანაბრობა მხოლოდ დროებით ანელებს ხალხის აზვირთებას. იბადება ახალი, რესპუბლიკური პარტია და ჭაბუკი ჯუზეპე თავდადებით ებმება რევოლუციურ ბრძოლას. 1884 წელს გენუის აჯანყებაში მონაწილეობისათვის სიკვდილმისჯილი იგი სამხრეთ ამერიკაში იხიზნება. მაგრამ ბოროტებას, მონობას, უსამართლობას შეურიგებელი მისი სული შფოთავს. ის შეუპოვრად ებრძვის ბრაზილიის იმპერიას პატარა რესპუბლიკის — რიო გრანდეს დამოუკიდებლობისათვის. თავისი მცირერიცხოვანი რაზმებით არგენტინის მონობიდან ათავისუფლებს ურუგვაის და მის დედაქალაქ მონტევიდეოს. მამაცი მებრძოლის სასწაულებრივი გამარჯვების ხმა ოკეანესგაღმიდან მთელ ევროპას სწვდება...

...მოსკოვში, ვესნინის ქუჩაზე გრძელდება საზეიმო ცერემონიალი. იტალიის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი კაპუცო კითხულობს დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია, როგორ გაითქვა სახელი ქართველმა ჯარისკაცმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში არა მარტო სამშობლოს, არამედ შორეული იტალიის მიწა-წყალზეც, როგორ იქცა მისი სახელი ლეგენდად ჩრდილო იტალიაში.

...მასპინძლობს ჯუზეპე გარიბალდი. 1848-1849 წლებია. აპენინის ნახევარკუნძულზე კვლავ აღსდგა ხალხი ფეოდალურ რეაქციაზე იერიშის მისატანად. და ჯუზეპე თავის ხალხთან არის. უფრო დავაჟკაცებულა. ქერა წვერ-ულვაში ამშვენებს. ჩაუქრობელი ცეცხლით ელვარებენ ლურჯი თვალები. სამშობლოს ყველა მხრიდან, ყველა კუთხიდან ისწრაფვიან მისკენ ლეგიონერები. თავისი წინამძღოლის ღრმად გააზრებული, მოულოდნელი და საოცრად თამამი იერიშებით, თითქმის უიარაღო, მშიერ-მწყურვალე გარიბალდელები ღვთის რისხვასავით ატყდებიან დამპყრობლებს, სდევნიან მათ უკუქცეულ, თოფ-ზარბაზნებით აღჭურვილ მრავალათასიან რეგულარულ არმიებს.

მაგრამ ძალები წარმოუდგენლად უთანაბროა: ქვეყანას ესევიან ლუი ნაპოლეონის, მეტერნიხის, პრუსიელების, პაპის, ბურბონების არმიები და დაქირავებული ჯარები. მაგრამ მარტო ეს კი არა, უფრო საბედისწერო ხდება საკუთარი მონარქების მოღალატური დიპლომატია, შენიღბული ხრიკები, მათი სამარცხვინო შეთანხმება უცხო დამპყრობლებთან. რევოლუცია ჩახშობილია. დევნილი გენერალი გარიბალდი კვლავ იძულებულია სამშობლოდან გაიხიზნოს. და მონტევიდეოს გმირი, ლუი ნაპოლეონის ურიცხვ ურდოთა თავზარდამცემი, კაცი, რომელიც ფლობს მთელი მოწინავე კაცობრიობის გონებას, რომლის სახელი დედამიწის კიდით-კიდემდე თავისუფლების სიმბოლოდ იქცა, — ნიუ-იორკის მივარდნილ, ნესტიან სარდაფში სანთლების ჩამოსხმით ირჩენს თავს, ან გემზე უბრალო მატროსად სერავს ზღვებს და ოკეანეებს. მის თვალებს, მის სახეს, მთელ მის არსებას დაუფლებია ერთადერთი ოცნება, ერთადერთი ნატვრა და მისწრაფება — გაერთიანებული, თავისუფალი სამშობლოს ხილვა...

ვესნინის ქუჩაზე გრძელდება ცერემონიალი. იტალიის ელჩი ფედერიკო სენსი ნოვარის პროვინციის ქალაქ მოტარონეს მიდამოებში დაღუპულ ქართველ ჯარისკაცის ძმას მკერდზე უმაგრებს ოქროს მედალს „მხედრული მამაცობისათვის“. სენიორი ფედერიკო სენსი ამბობს, რომ იტალიის ხალხი ამით გამოთქვამს თავის მადლობას ქართველი გმირისადმი, რომელმაც თავი დასდო მეორე მსოფლიო ომის დროს, თავისუფლებისათვის მძიმე ბრძოლებში.

...მასპინძლობს ჯუზეპე გარიბალდი. გასული საუკუნის სამოციანი წლებია. აპენინის ნახევარკუნძული ისევ რევოლუციურ აჯანყებათა ქარცეცხლშია გახვეული. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ამხედრებული ხალხი უხმობს თავის გმირ გენერალს, და აი ისიც: ზარბაზნების ცეცხლი ვერ აბრკოლებს, მხრებგაშლილი დინჯად გადმოდის იგი გემიდან სიცილიის სანაპიროზე. თმა-წვერ-ულვაშში ჭაღარაშერთული, თვალგამახვილებული და აკვალთული.... სახის დამკვეთრებულ ნაკვთებზე აღბეჭდილია ლომისებური გულადობა. ზარების გუგუნით ეგებებიან მას ქალაქები და სოფლები. მასთან მოდიან მთებს შეხიზნული პარტიზანები. ბურბონების ჯარისკაცები ათასობით ებმობიან გარიბალდელებს. ევროპის რევოლუციური ახალგაზრდობა მოხალისედ ისწრაფვის მისი დროშის ქვეშ. გენერალი გარიბალდი ვოლონტერებიდან ქმნის ძლიერ ინტერნაციონალურ-განმათავისუფლებელ არმიას.

— ქართველო მეგობრებო, — განაგრძობს სენიორ ფედერიკო სენსი, — თქვენ უნდა ამაყობდეთ, რომ თქვენმა ქვეყანამ აწოვა ძუძუ მამაც ჯარისკაცს. მე აღტაცებული ვარ თქვენი ხალხით, რომელსაც ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცივილიზაციის ისტორიაში და მუდამ დგას განუწყვეტელი წინსვლის გზაზე...

...სტუმრებით გაჭედილ საელჩოს დარბაზებში საიდანღაც შემოიჭრა:

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნად მონობისა!..

ეს ილიას ხმაა, ახალგაზრდა პოეტის და პუბლიცისტის მგზნებარე გულის ხმა, ხმა მებრძოლისა, თვითმპყრობელური, კოლონიური რეჟიმის დამხობაზე რომ ოცნებობდა. სიცილიის რევოლუციით აღტაცებული ისიც ილტვოდა გარიბალდისკენ და აი, ახლა აქ არის, თითქოს შორიდან შეჰხარის თავისი ქვეყნის შვილთა დიდებას.

ბრწყინვალე მხედართმთავრის სტრატეგია, სწრაფი მარშები და მოულოდნელი, ელვასავით სწრაფი იერიშები ფლანგებიდან — განაპირობებენ გარიბალდის ძლევამოსილ წინსვლას. გარიბალდი ათავისუფლებს სიცილიას, ნეაპოლს და რომისაკენ იღებს გეზს. მარქსი და ენგელსი შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალს გარიბალდის განსაცვიფრებელ შერკინებას იტალიის მრავალრიცხოვან მტრებთან. „სიცილიის აჯანყებამ ჰპოვა ღირსეული ბელადი... მისი სტრატეგიული გეგმები აღბეჭდილია სამხედრო გენიით... რაც უფრო უკეთ ვეცნობით გარიბალდის მიერ დამუშავებულ სამხრეთ იტალიის განთავისუფლების გეგმას, მით უფრო აღტაცებული ვრჩებით მისი გრანდიოზულობით“, აღნიშნავენ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები.

რამდენიმე წლის შემდეგ აღსრულდა გარიბალდის ოცნება — გაერთიანებულია იტალია. მაგრამ ლომგული რევოლუციონერის სახეზე მჭმუნვარებაა, გაერთიანებულ იტალიას ისევ მონარქი ფლობს, გადიან წლები და დიდ ილიასაც შუბლი ტყვიით გაუგმირეს თავისუფლების მტრებმა.

მაგრამ აი, იტალიის საელჩოს დარბაზებში ერთბაშად აელვარდა თვალისმომჭრელი შუქი. ბიჭი შემოვიდა, ქართველი ბიჭი, ჭკვიანთვალება, წარბებგადაკალმული, ბოკვერივით ჩაფსკვნილი, პირტიტველა ბიჭი. ასეთი წამოსულა შინიდან. ასეთი ახსოვთ სამშობლოში. პირველ დღიდანვე შებმია ფაშისტ მტარვალებს. მებრძოლის ბედს იტალიაში მოუყვანია. ომის ქარცეცხლიან გზებზე ნაწრთობი, გაკაჟებული ბრგე ვაჟკაცი. ასეთი ახსოვთ იტალიაში.

საელჩოს თვალისმომჭრელად აელვარებულ დარბაზებში გმირის ძმებს გარს ეხვევიან სტუმრები, ჟურნალისტები, საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები. ერთმანეთს ეჯიბრებიან ტელევიზია, რადიო, კინოქრონიკა, ფოტოაპარატები. მსუბუქ წინსაფრიან იტალიელ ქალებს ლანგრებით დააქვთ გრილი სასმელები, სიგარეტები, ტკბილეული.

და გენერალი ჯუზეპე გარიბალდი მხედრულ სალამს აძლევს ჯარისკაცს — ასეთია იტალიის კანონი: გენერალიც კი პირველი მიესალმება ოქროს მედლიან ჯარისკაცს.

„დიდო ილია, — ჩუმად იწყებს ჯარისკაცი, — მე, მოწაფეს მინახავს გარიბალდის სურათი თქვენს კაბინეტში. ამ უბადლო გმირის თავდადება ხალხის სიკეთისათვის მთელი სიცოცხლე გაღელვებდათ თქვენ და მის რაინდულ სახეს ვერ იშორებდით თვალთაგან. ჩემი ერის სათაყვანებელო მამაო, კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ, მინდა გიპატაკოთ: რევოლუციის ქარტეხილში ჩვენს მამათა სისხლით მოპოვებული თავისუფლება მტერს არ დავანებეთ, არ მივეცით ნება გაეთელა ჩვენი აყვავებული მამული. ამას გიპატაკებდნენ ჩვენებური ბიჭებიც, ისინი, ვინც გამარჯვებით დაუბრუნდა სამშობლოს, მიესალმა მშობლიურ ქვეყანას და ისინიც, ვინც ვეღარ დაბრუნდა, თავი დასდო თავისუფლების დასაცავად“.

...მაღალჭერიან, ფართოფანჯრებიან, ნატიფი ხელოვნებით მოხატულ დარბაზებში დამთავრდა საზეიმო ცერემონიალი. გაჰქრა ზმანება. ქართველი ბიჭის სამარე იტალიის კურთხეულ მიწას აბარია და შორიშორ მობინადრე ხალხების ურღვევი ძმობის სიმბოლოა, ურღვევი, იმიტომ, რომ თავისუფლების ტრფიალებას დრო და ჟამი არ უწერია, იმიტომ, რომ ყოველთვის ჩვენი თანამედროვენი არიან გარიბალდი და ილია, იმიტომ რომ ულეველია თავისუფლებისათვის მებრძოლთა ლეგიონები.

# წერილი აფრიკიდან

ეს თითქოს გუშინ იყო. ნოემბრის ბოლო რიცხვები... შერემეტიევოს აეროდრომზე ვართ, გოგი ჯინჭარაძეს ვაცილებთ. იგი პირველია ქართველ მენავთობეთაგან, შორეულ ალჟირში რომ მიფრინავს.

სულ მალე აფრიკიდან გოგის წერილი მივიღეთ. იგი აგვიწერდა მთაგორიან ჩრდილოეთ ალჟირს, ხმელთაშუაზღვისპირეთს, მის სამხრეთით მიმყოლ დიდი და მცირე კაბილიის მთიან მასივებს და ჯურჯურის მაღალმთიანეთს, ატლასის ზონას, — მთელი ეს მიდამოები რელიეფური, კლიმატური და გეოლოგიური პირობებით საქართველოსა ჰგავსო.

სწორედ ამან განაპირობა ქართველ მენავთობე-სპეციალისტთა ჯგუფის გაგზავნა ალჟირში. საქმე ის იყო, რომ ალჟირში, ფრანგი კოლონიზატორების განდევნის შემდეგ, ნავთობის მოპოვება შეფერხდა. არ ჰყავდათ ადგილობრივი სპეციალისტები, არ ჰყოფნიდათ ტექნიკა. და აი, მაშინ, ალჟირს ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს საბჭოთა კავშირმა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა — გაგზავნეს ალჟირში გეოლოგები, გეოფიზიკოსები, ამგეგმავები, ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების კვალიფიციური სპეციალისტები. ჩვენ უნდა დავხმარებოდით ახლად განთავისუფლებულ ქვეყანას. ჩვენი ჯგუფი სამი კაცისაგან შედგებოდა: მბურღავი ინჟინერი ირაკლი კორძახია, გეოლოგ-გეოფიზიკოსი დავით დაოშვილი და ამ სტრიქონების ავტორი, მე და დავითმა ცოლ-შვილი თან წავიყვანეთ.

თვითმფრინავი დარ-ელ-ბეიდას აეროდრომზე დაეშვა, მას ალჟირის საჰაერო ჭიშკარს უწოდებენ. აეროპორტი თანამედროვე სტილის ლამაზი შენობაა, აგებულია საბჭოთა კავშირის დახმარებით. აქედან მივემგზავრებით ქ. ბუდერმესისაკენ (ყოფ. როშე-ნუარი), რომელიც ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე მდებარეობს და დედაქალაქისაგან 50 კმ-ით არის დაშორებული. გზად პატარა ქალაქებია — რუიბა, რეგაია და ალმა; ძალზე საინტერესოა, რომ აქ ყველგან კათოლიკური ეკლესიები თითქმის უმოქმედოა, ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ფრანგები წასულან აქედან.

ქალაქებს რომ გაცდებით, გზის ორივე მხარეს მისდევს ვენახები, ბოსტნები, მანდარინისა და ფორთოხლის ბაღები... წინათ ეს საუკეთესო სარწყავი მიწები ფრანგ კოლონიზატორებს ეკუთვნოდათ, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მილიონზე მეტმა კოლონისტმა დატოვა ალჟირი, მათი მიწები ხალხს გადაეცა, ხოლო მათს ვილებში ამჟამად კომუნათა სამმართველოებია.

და აი, საღამო ხანს ქ. ბუმერდესს მივუახლოვდით. ძალზე პატარა ქალაქია, შედგება სულ რამდენიმე ათეულ ოთხ-ხუთსართულიანი ლამაზი სახლებისაგან, ზღვის მხარეს მწვანეში ჩაფლული ერთსართულიანი სახლებია. ზღვის შორიახლოს დგას ექვსსართულიანი თეთრი შენობა, აქ ახლა ალჟირელი ახალგაზრდობა ეუფლება უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ განათლებას, აქ ზრდიან ნავთობისა და საფეიქრო დარგის სპეციალისტებს. ადრე კი ამ შენობაში საფრანგეთის კოლონიური არმიის შტაბი იყო, და საერთოდ ეს ქალაქი სპეციალურად ააგეს არმიის საჭიროებისათვის. აქამდე დარჩენილია მავთულ-ხლართის ბადეები, რომლითაც იგი გარშემორტყმული იყო.

ამ ქალაქში დავბინავდით ჩვენი ოჯახებით. ბინები საკმაოდ კეთილმოწყობილია; ცოტა არ იყოს, გვეუცხოვა ქვის იატაკები, რაც ალბათ გამოწვეულია ხის მასალის სიძვირითა და ზაფხულის სიცხით, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თბილისზე მეტი სიცხე აქ იშვიათად თუ არის, ისიც მაშინ, როცა საჰარიდან ცხელი სიროკო დაუბერავს ხოლმე. საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფი მინიატურულად წარმოგვისახავს მთელს ჩვენს დიდ მრავალეროვან სამშობლოს; ქართველებს გარდა, აქ არიან რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები, თათრები და სხვ. აქვე ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და მუშაობენ უცხოელი სპეციალისტებიც.

ალჟირელები მეტად კეთილად არიან განწყობილნი საბჭოთა სპეციალისტების მიმართ, ვინაიდან კარგად იციან, რომ ჩვენ მათი უანგარო მეგობრები ვართ. ეს იციან არა მარტო ხელმძღვანელებმა, არამედ უბრალო მუშებმაც. არასოდეს დამავიწყდება ავტობუსის შოფრები საიდი და ბენზაედი, რომელთაც ჩვენ დავყავდით სამარშრუტო გასვლებზე, ნაკლებად შესწავლილ პერსპექტიულ ტერიტორიებზე. საიდს თავისი მცირელიტრაჟიანი მანქანაც ჰყავდა და ხშირად მიგვიპატიჟებდა ხოლმე კაკბებზე სანადიროდ.

ძმური ხელი გაუწოდო ახალგანთავისუფლებულ ქვეყანას — ეს დიდად კეთილშობილური მისიაა; და ჩვენც, ქართველ სპეციალისტებს ძალ-ღონე არ დაგვიზოგავს, რომ პირნათლად შეგვესრულებინა ის საქმე, რაც ჩვენმა ქვეყანამ დაგვავალა.

ალბერტ ხახანაშვილი



მარცხნიდან მარჯვნივ — კარლო გეგელიძე, ლევ კრავჩენკო, ჯუანშერ ოქრომჭედლიძე და კარლო ჯოხაძე.



ნუგზარ წუწუნავა (მარცხნივ) და ალჟირელი სტაჟიორები.



ალბერტ ხახანაშვილი და დავით დაოშვილი

ფოტო ო. თურქიასი.

## ალექსანდრე ბლოკი

* * *

ამ ქვიან, ამ მტვრიან გზებს იქით,
ამ ტყიან, ამ კლდიან მთებს იქით,
ამ მკვდრიან, სასაფლაო ქედს იქით —
შენ ახლა
სხვა ცისქვეშ მყავი...

და როცა ლურჯდებიან ქედები
და როცა მწვანდებიან ულრანები,
გიგონებ არაქაურ მწუხარებით,
ვიხსენებ
წარსულს და, ვბერდები...

მწუხარე სიზმრებში ვცნობ
ჯადოსნურ ხელებს და სახეს,
თითებში შენს თითებს ვგრძნობ და
შორეულს ვიმეორებ სახელს.

1915

## ძ ე რ ა

ტივტივებს ძერა რუსეთის ცაში,
თავს დასტრიალებს მთვლემარე კორდებს.
პაწია ქოხში ატირდა ბავშვი —
მწუხარე დედა აკვანთან ჰგოდებს:
„აჰა, შენ, ძუძუ! აჰა, შენ, ტკბილო!
ღვთით, მორჩილებით იზარდე, შვილო!“

და დიან დრონი ომებით, ჯანყით,
დამწვარ სოფლების ცაზე ბრიალით,
შენ კი, კვლავ ის ხარ, კვლავ რუსი ხალხი,
ქვეყანა — ტურფად თვალცრემლიანი. —
მაინც, როდემდე უნდა ჰგოდებდე?
დაგტრიალებდეს ძერა როდემდე?

1916

* * *

იესოს ტაძარში გალობდა ქალწული,
ყველასათვის, ვინც ქვეყნად ზღვაშია გასული,
ვინც ჩარჩა უცხოეთს დაღლილ-დაქანცული,
ვინც უსიხარულო ცდაშია ჯვარცმული.

ხმა იგი წკრიალით გუმბათს ეხლებოდა,
და იდგნენ წყვდიადში, და გული ხარობდა:
ცა იგი სარკმლიდან თეთრ ბეჭზე ეღვრებოდა
და თეთრი კაბა — მზის შუქზე გალობდა.

და ყველას სჯეროდა, და ყველას ეგონა,
რომ უკვე გემები ნაპირთან ირწეოდნენ,
რომ უსამშობლოებს სამშობლო ეპოვნათ
და აღთქმულ მხარეში ლხენას მისცემოდნენ.

ხმა იყო უტკბესი, ცა იყო ულრმესი
და ყველა, იმ ერთის გარდა ტყუვდებოდა —
ალსავლის კარებთან, ცრემლების ტბაში,
იჯდა და ტიროდა მისანი — ბავშვი,
რომ უკან
არავინ
არ დაბრუნდებოდა.

1905

* * *

ყოველივე ჯერ ხუმრობად აქცია,
მიხვდა — ახლა საყვედურებს მოჰყვა.
კოხტა თავი კვლავ ამაყად ასწია,
ცხვირსახოცით შეიმშრალა ლოყა.

ახარხარდა, გამომწვევად მიცინა —
ყველაფერი დაავიწყდა წამსვე.
გაახსენდა — აქვითინდა, იწივლა —
თმის სამაგრი ცხრა დასცვივდა სკამზე.

დაუშნოვდა. კარისაკენ გასწია.
კვლავ მობრუნდა. ელის, დგას და ვდგავარ.
მომაწყევლა, ზურგი შემომაქცია
და ჰა, ალბათ, სამუდამოდ წავა...

კი! რას იზამ! დაცლილია ფიალა.
ჩვეულ საქმეს თავს გულმშვიდად ვაბამ...
ცხოვრებამაც ასე ჩაიშრიალა
(ნუთუ!!!)
როგორც შენმა ჭრელმა კაბამ?!

1916.

* * *

მადლობელი ვარ, რაც იყო დღემდის!
არ მიძებნია სხვა ხვედრი, მენდე!
ო, გულო ჩემო, რარიგად ძგერდი!
ო, სულო ჩემო, რარიგად ენთე!

ტკბილმა და მწარემ დაე თუნდ გულში
პტკივანი კვალი დასტოვოს წყლულის,
ვნებათა ქარშიც, მოწყენის რულშიც
შევინარჩუნე ნათელი სულის.

და შენ, ვინც გტანჯე ახლისკენ ფრენით,
შემინდე. ვიულით ერთი ნათებით.
მე ბევრი, რასაც ვერ იტყვი ენით,
ვიგრძენ შენით და შენი ხატებით.

ფხიზელი შუქი მიკრთის თვალებში,
ძგერს გული ჩემი, გამყვირის მიზანს
გაყინულ ღამის ცივ სიწყნარეში,
და გზას
ჯიუტად განაგრძობს თვისას.

1912.

## სერგეი ესენინი

## სიმღერის მიგაძვა

შენ არწყულებდი პეშვით
ცხენს, ლაგამგაჩრილს ყბაში.
გადამტყდარიყვნენ ცერად
არყის ხეები ტბაში.

მე გავყურებდი ცისფერ
მანდილს სარკმელთან მჯდარი,
შენს შავ ნაწნავებს გველებრ
აქანავებდა ქარი.

იყო მხუბუქი ჭავლის
სიზმარეული ფშვენა,
უცბად მომინდა კოცნით
შენთვის ტუჩების ტკენა.

მაგრამ ცბიერი ღიმი
შემომაფრქვიე ლხენით
და გამეცალე უცებ
ლაგამ-ალვირის ჟღერით.

მზიურ დღეების დასი
სხვას ვის ახარებს ხანგრძლივ —
და ჩამიტარეს შენი
კუბო ფანჯრების გასწვრივ.

სულში არ ცხრება კვნესა
პანაშვიდების ქნარის
და ყრუდ ჩამესმის დღესაც
შორი წკრიალი ნალის.

1910.

* * *

შაგანეო, ჩემო შაგანე!
ჩრდილოეთის შვილი რომ ვარ, ალბათ,
სტეპი მახსოვს. ყური მიგდე კარგად,
მთვარიანში როგორ ღალანებს,
მე გიამბობ, ჩემო შაგანე.

ჩრდილოეთის შვილი რომ ვარ, ალბათ,
იქ მთვარეა ასჯერ დიდი ჯინაზე.
რაგინდ ტურფა იყოს შენი შირაზი,
რიაზანთან გამოჩნდება ყალბად.
ჩრდილოეთის შვილი რომ ვარ, ალბათ.

სტეპი მახსოვს, ყური მიგდე კარგად:
ეს ქოჩორი ჰქავს ვესესხე ქერას
და, თუ გინდა, სულ არ ვიგრძნობ ტკენას,
დაიხვიე თითზე ყაჭის ძაფად.
სტეპი მახსოვს, ყური მიგდე კარგად.

მთვარიანში როგორც ღალანებს
ჰქავის ყანა — მიხვდი ჩემი თმებით.
გახალისდი, შემომხვიე ფრთები,
ოღონდ ყანა, კმარა, შაგანე,
ნუ მახსენებ, როგორ ღალანებს.

შაგანეო, ჩემო შაგანე!
იქ, ჩრდილოეთს, ქალიშვილი სახლობს,
საოცრად გგავს, ვაჰ თუ ჩემზე ნაღვლობს,
ვაჰ, თუ ჩემზე ფიქრში ალამებს...
შაგანეო, ჩემო შაგანე!

1924

* * *

ჭრილობების დაცხრა ბლავილები,
ვზივარ ჩაიხანაში და ვსწავლობ:
თეირანის ლურჯი ყვავილებით
ჩემს ჭრილობებს, ძველ ჭრილობებს ვწამლობ.

სურვილი აქვს ჩაიხანის პატრონს,
რუსის თვალში დიდს დიდებას მკიდეს
და მალმალე მასპინძლობით მათრობს,
არყის ნაცვლად ჩაის მისხამს წითელს.

მასპინძელო, მასვი ცხელი წყალი,
მაგრამ ვიცი შენი ბალის ყადრიც —
უმიზეზოდ არ ახდილა ჩადრი,
უმიზეზოდ არ ჩამიკრეს თვალი.

მე რუსი ვარ, ჩვენ რუსეთში ქალებს
ძაღლებსავით ჯაჭვს არ ვაბამთ ყელში,
უხმალხანჯლოდ ვიღებთ ქალის ალერსს,
უსასყიდლოდ ვსწავლობთ კოცნას ჩვენში.

ხოლო მაგას, რაკი ლერწამს წაჰგავს,
ცისკარს წაჰგავს რაკი ლერწმის გარდა
ხორასნიდან შალს მოვართმევ ახალს,
შირაზიდან ხალიჩას და ფარდაგს.

მაშ, დამისხი, მასპინძელო, ჩაი,
და ნუ გინდა ჩემგან ფიცი-მტკიცი:
ჩემს სიტყვაზე — პასუხს ვაგებ თავით,
შენი სიტყვის — თვითონ უკეთ იცი.

და ამაოდ კარს ნუ გასცქერ მწყრალი —
ვიცი ბაღში კუტიკარის ყადრი...
უმიზეზოდ არ ახდილა ჩადრი,
უმიზეზოდ არ ჩამიკრეს თვალი.

1924.

თარგმნა მურმან ლებანიძემ.

# ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა

„ჩვენ საუბარი გვექნება მოხუცებაზე ძირითადად მხოლოდ ბიოლოგიურ და მედიკურ ასპექტში და ისიც მხოლოდ ერთ საკითხზე — მოხუცების გადავადებაზე, მოხუცების არიდებაზე, ანუ, როგორც მედიკები ლაპარაკობენ, მოხუცების პროფილაქტიკაზე.

მოხუცების პროფილაქტიკა — ეს მოხუცების არიდება, მოხუცების თავიდან აცილებაა. გადაჭრით და კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მეცნიერული ცოდნის მიხედვით, მოხუცების თავიდან აცილება აბსოლუტურად შეუძლებელია. ცოცხალი არსების ინდივიდუალურ განვითარებაში, ეგრეთწოდებულ ონტოგენეზში, იგულისხმება ადამიანის ინდივიდური განვითარებაც და ამ განვითარების უკანასკნელი ეტაპი — მოხუცება, რომელიც ბუნების ურყევი კანონია.

სულ სხვა არის ნაადრევი მოხუცება, მოხუცება არაბუნებრივი, ანუ როგორც ის სხვანაირადაცაა ცნობილი, პათოლოგიური მოხუცება. ნაადრევი მოხუცების პროფილაქტიკა, მისი არიდება პრინციპულად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერულად (თეორიულად) სავსებით დასაშვებია. ასეთი პროფილაქტიკის საშუალებით შესაძლებელია ახალგაზრდობის და შუა ასაკის, ეგებ ხანშესულობის რამდენადმე გახანგრძლივება (პროლონგაცია), მოხუცების, უფრო სწორად, ნაადრევი მოხუცების ვადის გადაწევა, ასე ვთქვათ, გადავადება. რამდენად უფრო ეფექტიანი იქნება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ეს პროფილაქტიკა, ამ შემთხვევის მოხუცების ვადა იმდენად უფრო მიუახლოვდება ბუნებრივი (ფიზიოლოგიური) მოხუცების ვადას“.

ასე იწყებს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი ვლ. ჟღენტი თავის უაღრესად საინტერესო წიგნს, რომელსაც „ცხოვრების ციკლი“ ეწოდება და რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებამ“.

ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის ეს ნაშრომი მოგვითხრობს სიცოცხლის — ბუნების ამ უდიადესი, ურთულესი და უსრულქმნილესი მოვლენის ერთ-ერთ ძირითად თვისებაზე — ციკლურობაზე.

ავტორი თვალის ერთი გადავლებით, ძალიან მოკლედ მიმოიხილავს შორეულ წარსულში ჩატარებულ ცდებს, რომელთა მიზანი იყო მოხუცების თავიდან აცილება, მარადი ახალგაზრდობა, უკვდავების ძიება. აქ იგი მიმართავს საინტერესო ისტორიულ ექსკურსს — იხსენებს მითს მედეაზე, რომელიც თითქოს გაახალგაზრდავების მალამოს ამზადებდა ჯადოსნური ბალახებისაგან, იხსენებს გეროკომიას, რომელიც ურჩიეს ისრაელის მეფეს, ღრმად მოხუცებულ დავითს (XI საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და რომელიც სავსებით შეუთავსებელია ზნეობრივ ნორმებთან; როგორც ძველ, ისე შუა საუკუნეებში დღეგრძელობისათვის რომ მიეღწიათ, მიმართავდნენ თილისმებს, ავგაროზებს, მაგრამ ყველაფერი ეს ცრუმორწმუნეობაზე იყო აგებული და, ცხადია, მათ არ შეიძლებოდა ჰქონოდათ რეალური შედეგი.

დღეს მეცნიერებას თავისი ჭეშმარიტი გზა აქვს დასახული ადამიანის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. მოხუცება — ბუნების ურყევი კანონია, სიცოცხლე მარადიულია, მაგრამ სიცოცხლის ინდივიდური ციკლი — დროებითია, ადამიანი წარმავალი არსებაა. მაგრამ მედიცინას აქვს შესაძლებლობა გაახანგრძლივოს ადამიანის სიცოცხლე. აქ ლაპარაკია ახალგაზრდა და შუა ასაკის რამდენადმე გახანგრძლივებაზე, ხანშესულობის თუ მოხუცების, მით უფრო ნაადრევი ხანშესულობის თუ ნაადრევი მოხუცების გადავადებაზე. დაწყებული ხანშესულობის თუ დაწყებული მოხუცების პროცესის შემსუბუქებაზე, მათი სისწრაფის შენელებაზე, ასე ვთქვათ, ხანშესულობის თუ მოხუცებულობის გახანგრძლივებაზე. აქ, ცხადია, იგულისხმება გახანგრძლივება არა მიხრწნილი მოხუცებულობისა, არამედ ფიზიკურად და გონებრივად საღი, ჯანმრთელი, აქტიური შრომისუნარიანი მოხუცებულობის.

ავტორი ვრცლად გვესაუბრება იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხელთ აქვს ჩვენს მედიცინას ნაადრევ სიბერესთან ბრძოლის დროს. აქვე იგი გვესაუბრება მორალურ ფაქტორებზეც, იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში სულიერ სიმშვიდეს, ადამიანთა შორის კეთილმეგობრულ ურთიერთობას, სიყვარულსა და დაფასებას ახლობლებისა და მეგობრებისაგან.

მეცნიერება მოხუცებულობაზე და დღეგრძელობაზე ანუ გერონტოლოგია დღეს უკვე დიდ წარმატებებს აღწევს, კერძოდ, აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში თანდათანობით მატულობს ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

წიგნის ავტორი ამას ფაქტობრივი მონაცემებით ადასტურებს.

**თინა ჩიგოგიძე**



პატარაობიდანვე იქცევდა ეს ბიჭი საყოველთაო ყურადღებას. ხომ გინახავთ პოეზიაზე შეყვარებული ახალგაზრდა, ძილშიც რომ ლექსები ახსოვს... აი ასე უყვარდა მას მათემატიკური ფორმულები. ზოგჯერ მასწავლებელზე სწრაფად ამოხსნიდა რომელიმე რთულ ამოცანას, და ამას აკეთებდა მუდამ გატაცებით. უკვე აღარ აკმაყოფილებდა საშუალო სკოლის ჩვეულებრივი პროგრამა, უფრო ბევრი უნდოდა სცოდნოდა, მისი გონება უფრო მეტს მოითხოვდა.

ერთ დღეს მან გაზეთში ამოიკითხა, რომ თბილისში ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი არსებობს, სადაც ამ საგნებით დაინტერესებულ მოსწავლეებს იღებენ.

და ბიჭმა გადაწყვიტა თბილისში წასვლა.

ასე ჩამოდიან მოზარდები საქართველოს ყველა კუთხიდან ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში, აბარებენ მისაღებ გამოცდებს და შემდეგ ეუფლებიან რთული მეცნიერების საიდუმლოებებს.

აქ ყველაფერი განსხვავდება ჩვეულებრივი საშუალო სკოლისაგან. პროფესორები და დოცენტები ლექციებს კითხულობენ, საგნებს სპეციალური სახელმძღვანელოებიდან სწავლობენ, კვირაში თორმეტი საათი მათემატიკას და რვა საათი ფიზიკას ეთმობა, ყოველდღე შვიდ-შვიდი გაკვეთილი აქვთ.

მოსწავლეთა ხელთ არის შესანიშნავად მოწყობილი ლაბორატორიები, კაბინეტები, კედლებს გამოჩენილ მათემატიკოსთა სურათები ამშვენებს... აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ აღიზარდოს ღირსეული ცვლა, რომელიც სახელოვნად გააგრძელებს ქართული მათემატიკური სკოლის დიდ ტრადიციებს.

ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატს შეფობას უწევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტი, ხოლო მეთოდურ საბჭოს თვით ნიკოლოზ მუსხელიშვილი ხელმძღვანელობს.

აქაური მოსწავლეები სიამაყით აღნიშნავენ, რომ მათს სკოლაში ლექციებს კითხულობენ გამოჩენილი პროფესორები: პლ. კოლონია, თ. გეგელია, ა. ბენდუქიძე და სხვები. ინტერნატში მოწვეული არიან დოცენტები და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები; სწორედ მათი ინიციატივით ჩამოყალიბდა მომავალ მათემატიკოსთა ეს შესანიშნავი სკოლა და მათივე მონდომებით საუკეთესოდ მომზადებული ახალგაზრდები ამთავრებენ ინტერნატს. პროფესორმასწავლებლები ნამდვილ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან, რათა მათი მოსწავლეები მომავალში კარგი სპეციალისტები დადგნენ.

# ნორჩი მათემატიკოსები

აქ თვითეულ სპეციალისტზე (მათ შორის უმეტესობა მოწვეულია) მიმაგრებულია სამ-სამი მოსწავლე, რომლებიც დამატებით ვარჯიშობენ — ხსნიან საკონკურსო მაგალითებსა და ამოცანებს.

რაიონებიდან ჩამოსულ ბავშვებს ძალიან კარგი პირობები აქვთ მუშაობისათვის: ყოველი ორი-სამი მოსწავლისათვის გამოყოფილია ცალკე ოთახი გაკვეთილების მოსამზადებლად. აქვე შეუძლიათ იმეცადინონ ადგილობრივმა მოსწავლეებმაც.

ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური ინტერნატი უკვე ექვსი წელია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი ტრადიციის დამკვიდრება და დიდი ავტორიტეტის მოპოვება შეძლო.

— პირველ ხანებში მუშაობა ძალიან გვიჭირდა, — ამბობს სკოლა-ინტერნატის დირექტორი ვ. მელაძე, — არ გვქონდა სახელმძღვანელოები და ბავშვებს საშუალება არ ჰქონდათ ძირფესვიანად მოემზადებინათ ახალი მასალა. ახლა უკვე გამოცემულია ოცდასამი დასახელების წიგნი, რომლებითაც ხელმძღვანელობენ მოსწავლეები.

აღსანიშნავია, რომ ყველა კურსდამთავრებული წარმატებით აბარებს გამოცდებს უმაღლეს სასწავლებელში. ინტერნატის აღზრდილები წარჩინებულად სწავლობენ უნივერსიტეტის მათემატიკურ ფაკულტეტზე და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტშიც სწავლობს თხუთმეტი სტუდენტი, რომელთაც ეს სკოლა დაამთავრეს.

ინტერნატში სიმღერაც უყვართ და გართობაც; გუნდის ხელმძღვანელის მ. ვეფხვაძის თაოსნობით ჩამოყალიბებულია ორკესტრი, ხშირად ეწყობა კოლექტიური დასწრება ახალ კინოფილმებზე, ექსკურსიები ქალაქგარეთ.

მოსწავლეები გულმოდგინედ უვლიან ეზოში გაშენებულ ბაღს და ყოველ შემოდგომაზე კარგ მოსავალს იღებენ.

ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში იზრდება ქართველ მათემატიკოსთა ცვლა, რომელიც თამამად ჩამოართმევს ესტაფეტას უფროს თაობას და წაიღებს წინ, ქართული კულტურის კიდევ უფრო ამაღლებისათვის.

**მანანა სანადირაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში (ფრაგმენტი).

ილია ჭავჭავაძე.



გალაკტიონ ტაბიძე.



ვასო გოძიაშვილი
რიჩარდ მესამის როლში.





მთიელი ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენეცია.



რომი.



თეთრი ნესტანი.



ჩვენი მურეშა.



# უჩა ჯაფარიძე

რაჭა მუდამ მომხიბვლელია, მაგრამ განსაკუთრებით ლამაზი იყო იგი იმ დღეს, როცა თავის საყვარელ უჩას ხვდებოდა. გზებზე, ყოველ სოფელთან წააწყდებოდით უჩას სურათებს — არა ფერწერულ ტილოებსა და გრაფიკულ კომპოზიციებს, არამედ პირდაპირ ნატურაში, ცოცხლად. გაცოცხლებულიყვნენ სურათები, მუზეუმის კედლებიდან ღია ცისქვეშ გადმოსულიყვნენ, მოჩქეფდა მილით წყაროს წყალი, თქრიალით ჩადიოდა დოქში და იქვე იდგა მოხუცი დედა („დედის ფიქრები“); მეორე ადგილას, სათიბში პაპა იდგა ცელით ხელში, პატარა გოგონას სამხარი მიეტანა მისთვის, თანაც თავისი ცუგო წამოეყვანა („პაპის სიხარული“); მესამე ადგილას — ჯეელ ბიჭს აცილებდნენ ახალგაზრდა ქალიშვილი და მოხუცი კაცი. მათს ფეხთით თხა იყო წამოწოლილი („გზის დალოცვა“); აგერ, სოფლელი ბიჭი შეხვედროდა თავის adრინდელ შეყვარებულს, სხვაზე რომ გათხოვდა, შეხედა და ქალმა ჩაღუნა თავი („საყვედური“); ამას მოსდევდა „სიყრმის მეგობრები“, „საინტერესო საუბარი“, და მთელი ქვეყანა, მთელი გზა, მინდორი და სოფელი გადაქცეული იყო უჩა ჯაფარიძის შემოქმედებად; თვითონ ხალხმა სპექტაკლივით დადგა უჩას სურათები, მაგრამ აქ არაფერი იყო თეატრალური, არც გრიმი იყო საჭირო, არც კოსტუმის გამოცვლა, არც დეკორაცია, პირდაპირ გამოვიდა ხალხი ქუჩაში, ორღობეში, და ჩვენ დავინახეთ ის საყვარელი, წარმტაცი ყოფა, იერი, ფერები და კონტურები, რომელთა მთლიანობას საქართველო ეწოდება.

ეს იყო ჭეშმარიტად ჯერ უნახავი სანახაობა მსოფლიო სახვითი ხელოვნების ისტორიაში, და მან კიდევ ერთხელ დაადასტურა რაოდენ ცხოვრებისეულია უჩა ჯაფარიძის ტილო, რაოდენ მართალია მისი ყალამი... ესაა დიდი მხატვარი, რომლის სურათებზე ცოცხლობს, სუნთქავს და ათასფრად ელვარებს მთელი ქვეყანა.

უჩა ჯაფარიძის შემოქმედება მოიცავს ქართული ხელოვნების ყველა საუკეთესო ეროვნულ ნიშან-თვისებებს, აქაა სწრაფვა მონუმენტურობისაკენ, აქ არის რომანტიკული მღელვარება, არა გარეგნული და თვალში საცემი ბრწყინვა ფერებისა, არამედ შინაგანი ძალა, აქ ხალხის სულის დიდი უბრალოება და სიბრძნეა, მისი სულის სითბო და სილამაზე.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე კვლავ წარმატებით ჰქმნის ახალ ნაწარმოებებს, რომლებიც სრულყოფილად გამოხატავენ ჩვენი დროის, საბჭოთა ეპოქის ადამიანთა სულიერ სამყაროს; უჩა ჯაფარიძის შემოქმედება ქართული საბჭოთა კულტურის მშვენება და სიამაყე.

გიორგი ნატროშვილი



ჭიშკარი გურიაში.



შესვენება.



საგლოლო.

საჩხერელი.



თუშები.



ნატურმორტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



მარგარიტა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სტუმრად მეჩაიესთან.



მეგობრები.



ნალია ბუგეულში.



კ. პაუსტოვსკი

# გ უ ბ უ რ ა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

თოვლი ახალი წლისთვის ძლივს გამოჩნდა, მანამდის კი მინდორ-ველს ცივი ნისლი ჩამოსწოლოდა. და როგორც გაზაფხულზე, დილიდან გვიან ღამემდის გაჰკიოდნენ ბებერ თელებში ფუსფუსა ჭკები.

თელები კოლმეურნეობის სახაიეს მახლობლად ჩამწკრივებულიყვნენ. სახაიე ხის შენობაში იყო, მეორე სართულზე. ეს სახლი სოფლის შესასვლელში იდგა. სახაიეს ფანჯრებიდან კარგად მოჩანდა რკინიგზის სადგური, ქვანახშირის მთები, ისრის სინათლეები, რომლებიც ნისლის გამო დღისითაც ენთო, და ორთქლმავლის ბოლქვები. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდათ, თითქოს ეს ორთქლი ჯერ ეჯახებოდა დაბალ მოქურუშებულ ცას, მერე კი იშლებოდა და ცივ ნისლს ასქელებდა.

სადგურს გადაღმა თოვლით დაფარული მინდორი იყო და მხოლოდ სულ იქით, მინდვრის ბოლოში, ჩამწკრივებულიყო შემოძარცული აცოცხილი არყები.

ხნიერი გამოცდილი ადამიანები, როცა ზამთარში უცნობ ადგილებში აღმოჩნდებიან ხოლმე, სადგურიდან პირდაპირ კოლმეურნეობის სახაიეში მიდიან. ჯერ გასათბობად, მერე კი იმისათვის, რომ ხალხს გამოელაპარაკონ, ახალი ამბები გაიგონ.

დილაადრიანი იყო. სახაიეში, ჩემს გარდა, მაგიდას უჯდა და ჩაის სვამდა ორი ქალი — ხნიერი და ახალგაზრდა. ახალგაზრდას თავზე წითელუჯრებიანი თავსაფარი ჰქონდა წაკრული. მოშორებით ფანჯარასთან შავტუხა ჭაბუკი იჯდა. ლურჯი დაბამბული ქურთუკი ეცვა და მუხლებზე გარმონი ედო. ხანდახან გასწევლავდა იმ გარმონს, წყნარად დაუკრავდა ვალსის შესავალს და მერე ისევ დიდი ხნით ჩაჩუმდებოდა.

სახაიეში ერთი ამბით შემოვიდა თმაგაჩეჩილი მოხუცი და თან ნისლის მთელი ღრუბელი შემოიყოლა.

— კაი გამარჯობა! — თქვა მოხუცმა, ქუდი მოიშვლიპა და წვერზე ხელი ჩამოისვა. — ცა ძალიან ჩამობნელდა. ალბათ თოვლი თუ წამოვა. უკვე დრო კია. კარგა ხანია ველით.

— გაგიმარჯოს, ბაბუ! — უპასუხა დახლიდან გამყიდველმა სანიამ, თეთრწინსაფრიანმა ჯანიანმა გოგომ.

— მე ახალგაზრდა მოხუცებულობა მაქვს, — უპასუხა მოხუცმა, — ბაბუა კი ვარ, მაგრამ ძალღონე უწინდელი მომდევს.

მოხუცი ქალებს მიუახლოვდა:

— ნება მომეცით, თქვენთან დავჯდე. ჯერ ადრეა და მოვასწრებ კოლმეურნეობაზე საუბარს, სხვა ამბებსაც მოვასწრებთ. ხომ მართალია, ლამაზო?

— ლამაზები სუყველანი მოსკოვში არიან, — უპასუხა ქალიშვილმა. — თუ იმათი ნახვა გინდა და უიმათოდ ვერა სძლებ, იქ უნდა წახვიდე!

— ვითომ რატომაც არა! — მტკიცედ უთხრა მოხუცმა. — სილამაზე კაცს ცხოვრებას უნათებს. შენ თვითონაც ლამაზი ხარ, მაგრამ თავს ისულელებ, ვითომ არ იცი. ეგ, ჩემო კარგო, ცოდვაა!

— აბა, რას ამბობ? — უპასუხა ქალიშვილმა და გაწითლდა, —აბა, ეგ საიდან მოჩმახე?

— მოეშვი გოგოს, თავი ნუ გამოუჭედე! — შეუცაცხანა ხნიერმა ქალმა, — სხვა სალაპარაკო ვერაფერი იპოვე?

— ყველაფრის ლაპარაკი შეიძლება, — მოულოდნელად თქვა ხმადაბლა გარმონისტმა, —თუ ამას მთელი სერიოზულობით მივუდგებით.

— აი, აი! —გაიხარა მოხუცმა. — გაიგონეთ? თორემ ისე მეცით, კინალამ შემჭამეთ.

გოგომ ცერად გახედა მეგარმონეს და კიდევ უფრო გაწითლდა. სახაიეში შემოვიდა სუფთად გაპარსული, მკაცრი გამომეტყველების მატროსი. მან ზანდუკის მსგავსი ხის ჩემოდანი კედელთან დადგა და მეგარმონეს მიუჯდა.

— დაისვენე, ძმაო? — ჰკითხა მეგარმონემ. — ახლა ისევ ზღვას უბრუნდები?

— დავისვენე, — მოკლედ დაეთანხმა მატროსი. მეგარმონე შეეხო გარმონს, წყნარად დაიწყო დაკვრა და წყნარადვე დაამღერა მატროსების სიმღერა.

— ას-ე-ე, — თქვა მოხუცმა, როცა სიმღერას ბოლომდე მოუსმინა. — მიეშურება მატროსი ზღვის სივრცეებში. უკან კი არავინ მისტირის, არავინ აცილებს. რითი ავხსნათ, მაგალითად, ეს ამბავი?

— დედა მომიხუცდა, — უთხრა მატროსმა, — მუხლები აღარ ერჩის.

— ეგ გასაგებია, მაგრამ მე მაგაზე კი არ გეკითხები. ნუთუ მთელ კოლმეურნეობაში ერთი ლამაზი გოგო არ აღმოჩნდა, ვინც შენთან დამშვიდობებას ისურვებდა? იქნებ გგონია იქ, ზღვაზე გოგოები ჩვენს გოგოებს სჯობიან?

— გააბი ისევ შენ ლამაზ გოგოებზე? — შეუცაცხანა მოხუცს დედაბერმა. — შენთვის სხვა საზომი არ არსებობს ამ ქვეყანაზე, ბებერო ქოფაკო!

— ეჰ, პრასკოვია, ქვრივო! — ამოიოხრა მოხუცმა. — მე შენთან დავა სულაც არა მსურს. მართალი ვარ თუ მტყუანი, საზოგადოებამ განსაჯოს.

— განსჯის კიდევაც, — მუქარით უთხრა ხნიერმა დედაკაცმა. — შენ მაგ საზოგადოების დიდი იმედი ნუ გაქვს.

— მეც სწორედ მაგას ვამბობ, — უთხრა მოხუცმა, თითქოს დედაბრის სიტყვები სულ არ გაეგონოს, — სილამაზე ცხოვრებას გვინათებს. მაგრამ ამ დასკვნას სწორი მიდგომა უნდა მოენახოს. შორიდან დამჭირდება ალბათ ლაპარაკის დაწყება. რადგან ვხედავ, ეს კაცი ჩვენი რაიონიდან არ უნდა იყოს, — მოხუცმა ჩემსკენ მოიხედა, — შეიძლება გაიოცოს ჩემი სიტყვები.

— შენც ჩრდილს ნუ მიაყენებ, ამ მზიან დღეს,— შენიშნა სანიამ, — ეს მოსკოველი კაცია. ალბათ კარგად გაგიგებს.

— თქვენ, მოქალაქევ, — მომიბრუნდა მოხუცი,— ჩვენი რაიონის ამბები ალბათ არც გაგიგონიათ? აი, მე ავდგები და მოგიყვებით. ეს მხარე მველთაგან უტყეო და გადახრუკული იყო. უახლოესი მდინარე აქედან ას კილომეტრზე მოედინება. არც ტყე გაგვაჩნდა. აქა-იქ ჭალებს თუ შეხვდებოდით. მთელი ტყეები იქით არის, ჩრდილოეთისკენ, ოკის გაღმა მხარეს. რაც მართალია, მართალია, იქაურობა წიწვიანი ტყითაა დაფარული, შრიალი გაუდის. ჩვენთან კი ერთი უბრალო ბუჩქი რა არის, ისიც სანატრელია. შემობარვის დროს ხელი გიცახცახებს, რამე არ დავუზიანოო.

— შენ ლამაზ ქალებზე გვპირდებოდი მოყოლას, — გაახსენა მოხუცს მეგარმონემ, — ლაპარაკი კი სულ სხვა გზით წაიყვანე.

— მე სწორედ მაგისკენ მიმყავს ლაპარაკი. ცოტა მოითმინე, თავის დროზე ყველაფრის გაგებას მოასწრებ. დი-ი-ახ! ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება ასეთ ამბებს ვერ ეგუება. გამოვიდა დადგენილება — უფსკრულები კაშხალებით გადაეღობათ, დაეგუბებინათ საკოლმეურნეო გუბურები და მინდვრების ჩაყოლებით ყველგან ხუჭუჭა ტყეები გაეშენებინათ.

— ეგ შენი ახალი ამბები ცოტა მოძველებული ხომ არ არის, ბაბუ! — დაცინვით შეეკითხა სანია.

— ახალ ამბებზეც იქნება საუბარი, — არც კი შეშფოთებულა მოხუცი. — სული ნუ გისწრებს. დი-ი-ახ! ტყეები, რა თქმა უნდა, გააშენეს. ეს ყველამ იცის, რადგან ის ხეები ჩვენი ხელით დავრგეთ. ამ სამი დღის უკან ზემლიანსკის ნარგავებს ჩავუარე. თოვლი მოსულიყო. იმ თოვლში კი კოხტად ჩამწკრივებულან ლამაზი ნაძვები, ერთი ბეწოები, მწვანეები, ხასხასები და შორიდანვე თვალს ახარებენ. ცხენი დავაყენე, ფორნიდან ჩამოვედი, იმ ნაძვების მახლობლად ჩამოვჯექი; ხელთათმანი გავიძრე და ხან ერთს ვეფერებოდი, ხან მეორეს. ცოცხლები არიან, ტანს იყრიან! „ეჰ, თქვენ, ჩემო შვილიშვილებო-მეთქი, ჩემო ლამაზებო! ღმერთმა მაინც მომასწროს და შემახედოს, როცა ჩემი სიმაღლისანი გახდებით, შემახედოს, როგორ ამოყოფს თქვენს ძირას თავს ხავსში ქორფა და წვნიანი სოკო“.

— ნეტაი ჩვენ, — ამოიოხრა სანიამ, — რა კარგია, რომ გვასწავლი, როგორ ვიცნოთ სოკოები.

— ცოტა მოითმინე! დი-ი-ახ! რაც შეეხება ტყეს, ეს უეჭველად ყველაფერი სწორია! ახლა სხვა რამეს მოგახსენებთ — გუბურების ამბავს. ასტაპოვის გუბურა ალბათ ყველას გინახავთ?

— აბა, ეგ რა საკითხავია! — უთხრა ხნიერმა დედაკაცმა. — მადლობა ღმერთს, გუშინდელი ბლარტები არც ერთი არა ვართ.

— ახალი გუბურაა, წყალი კი ზედ ყელზე აქვს მომდგარი, თითქმის ნაპირზე გადმოდის. თუ ღმერთი გწამს, გამაგებინე, სულ რამდენი ერთი წლისაა ის გუბურა და შიგ იმდენი ლიფსიტები დამლიგინობენ, რომ კაცი ვერ დაითვლის! ალბათ მილიონი მაინც იქნება! წყალში ჩაიხედავ და სიცილი აგიტყდება. ღმერთმანი! თავანკარაა, ღრმა და გრილი! ხვრეპს და ისრუტავს იმ გუბურიდან მიწა წყალს და ველარ გამძღარა. მერე განა მარტო მიწა! ცხენს მიაყენებ დასარწყულებლად, სვამს, სვამს და მოშორება აღარ უნდა, არ უნდა წყლის მიტოვება. ცხოველია, მაგრამ ისიც დანატრებულია წყალს, დგას, ყნოსავს, ფრუტუნებს — ეტყობა, ძალზე სიამოვნებს, ამდენ წყალს რომ ერთად ხედავს.

— ყური მიგდე, ბაბუ, — ეუბნება მეგარმონე.— ჩვენ აბა, რას გვიამბობ მაგ ამბებს. ეგენი ჩვენ უშენოდაც კარგად ვიცით. შენ იმას მოჰყევი, რასაც შეგვპირდი.

— შეპირებულს სამი წელი ელოდებიანო, — ჩაურთო მატროსმა.

— სწორედ რომ ეგრე გახლავთ! — თქვა გახარებულმა ბაბუამ. — სული გისწრებთ, ისე გეჩქარებათ ლამაზ ქალებზე მოყოლა! რაკი ეგრეა, ამ თემაზეც გვექნება საუბარი. მე თითქმის სულ ახლოსა ვარ მასთან. ოღონდ ნუ მაწყვეტინებთ, ნუ მაჩქარებთ. დი-ი-ახ! ასტაპოვის გუბურისთვის ხალხმა კაშხალი ერთობლივ ააგო. ეს იმას ნიშნავს, რომ თხრიდნენ, მუშაობდნენ, არ სეირნობდნენ. მიწას აყრიდნენ და ტკეპნიდნენ. სულ ბოლოს კი, ასე ვთქვათ, ყველაფერი წყალში ჩაეყარათ. წამოვიდა წვიმები. ასხამდა და აღარ იღებდა. გეგონებოდათ, ცას ძირი გამოეცალაო ძველი ვედროსავით. მოთქრიალებდა იქიდან წყალი გაუთავებლად. როგორ გინდა იმუშაო! კაშხალი კი ბოლომდეა მისაყვანი. ეს აუცილებელია, ეს კანონია! ხალხმა ყურები ჩამოყარა. მიწა ნიჩაბს ფისივით ეწებება, — ვერაფრით მოაგლიჯავ. უბედურებაა და მეტი არაფერი! არა და ვადა მიდის. ვადა ისეთი რამაა, თუ ერთი ხელიდან წაგივიდა, მერე ველარ დაიბრუნებ. დროს ხელს ვერ ჩასჭიდებ და ვერ გააჩერებ.

— ეგ ხომ ეგრეა და ეგრე! — ამოიოხრა ხნიერმა ქალმა.

— ჰოდა, აი, მომისმინეთ, რა ხდება. დი-ი-ახ! მოხდა სრულიად უბრალო ამბავი. კაშხალზე დასახმარებლად მოვიდნენ მებაღეობის ტექნიკუმის გოგოები, რადიშჩევკიდან. მთელი ერთი ბრიგადა. რა თქმა უნდა, დიდი ღონის პატრონები არ არიან, ხეებთან და ბუჩქებთან არიან შეჩვეული ლოლიაობას, თიხასთან საქმე არა ჰქონიათ. თიხა კი, ჩემო კარგო, იგივე თხევადი თუჯია. იმ გოგონებში ერთი ერია, სახელი აღარ მახსოვს, ბრიგადირივითა ჰყავდათ. შესახედავად, მართალი რომ გითხრათ, ძალიან გამოირჩეოდა: გრძელი ნაწნავები ჰქონდა, მოოქვრილი გეგონებოდათ, თვალები კი ნაცრისფერი. თვალს ვერ გაუსწორებდი. ხალხი ამბობს, ჩვენი ქალები ვერცხლის დოქებში ჩასხმული მდნარი წყლით იბანდნენო პირს. ამიტომ აქვთო ლოყები დაბრაწული, თვალებში კი ელვარება ჩასდგომიათო. იქნებ ეს ყველაფერი ზღაპარია. ეს მე არ ვიცი! საფიქრებელია, რომ ზღაპარია! აბა, საიდან უნდა ჰქონოდათ ჩვენს დედაკაცებს ვერცხლის დოქები! ცხადია, უაზრობაა! ამას იმიტომ ვამბობ, რომ იმ გოგოს, ბრიგადირს, ისეთი ალისფერი ლოყები ჰქონდა, გეგონებოდათ, მართლა ვერცხლის დოქიდან იბანდა პირს გაყინული წყლით. მუშაობას შეუდგა და გესმით, რა ხდება! წვიმა არ ჩერდება, ასხამს და ასხამს ციდან, ხალხს კი უკვე ელანდება, რომ მზე სადაც არის გამოაღწევს ღრუბლებში და დედამიწას ისე დაანათებს, ისე გაათბობს, რომ აელვარდება, აბრჭყვიალდება, ტოროლების ხმაზე ამღერდება მთელი ჩვენი მინდვრები. ხანდახან რომელიმე მომუშავეს ქანცი რომ გამოელეოდა, შეხედავდა იმ გოგოს, მის სიკოხტავეს, მის სილამაზეს, ის გოგოც გაუღიმებდა, ისე თითქოს უმიზეზოდ დაასაჩუქრებდა ბედნიერებით — და ისიც განაგრძობდა მუშაობას —

# ბროწეული

ყურძნის, ლეღვისა და ზეთისხილის შემდეგ ბროწეული ერთ-ერთი უძველესი მცენარეა, რომელიც ადამიანმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოაშინაურა, ანუ თავის საკარმიდამო ნაკვეთში გადაიტანა და გაახარა.

კაცობრიობის ცივილიზაციის პირველ საფეხურზე, მარცვლეულთან და თაფლთან ერთად, აღნიშნული ხილი იყო მისი საზრდო. ამიტომ არის, რომ თითქმის ყველა ადრინდელ წიგნებში, ძველ ბერძნულ ისტორიულ წყაროებში, ჰომეროსის სახელგანთქმულ „ოდისეაში“, თეოფრასტის „ბუნების ისტორიაში“, ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამნახევარი საუკუნით ადრე დაწერილ აგრონომიულ წიგნში და სხვაგან, ხშირადაა მოხსენებული ბროწეული, როგორც ნაყოფის მომცემი მცენარე.

გადმოცემით, როცა ისრაელნი ეგვიპტის უდაბნოში დაეხეტებოდნენ, ველური ბროწეულის წვნიანი ნაყოფი მათი ერთადერთი საზრდო იყო. სოლომონის მეფობის დროს, ბროწეულის ბაღებს დიდი ფართობები ეჭირა, ხოლო ბროწეულზე შექმნილი იყო უამრავი საგალობლები.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე ბერძენთა და სპარსელთა ომის ამბების აღწერისას ამბობს, რომ სპარსეთის ჯარებს მთავარსარდლის განსაკუთრებული რაზმი მიუძღოდა წინ. ამ რაზმის ჯარისკაცებს შუბებზე წამოცმული ჰქონდათ ოქროს ბროწეულები, როგორც უმაღლესი ღირსების ნიშანი.

ბროწეული სავსებით სამართლიანად იყო მიჩნეული ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლოდ; ნაყოფმომცემ მცენარეთა შორის იგი ყველაზე კარგად ხარობს არახელსაყრელ ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებში, თავისუფლად ვითარდება მშრალსა და ქვიან ნიადაგებზე, კლდეთა სეროფიტებში. ეს სითბოსა და განათების მოყვარული მცენარე ყოველგვარ პირობებში იძლევა ნაყოფს.

არცერთ სხვა მცენარეს, მსგავს პირობებში არ შეუძლიან ნიადაგიდან ამოწოვოს იმდენი წყალი, რაც საჭიროა მცენარის სიცოცხლისა, ზრდა-განვითარებისა და ნაყოფის მოსამწიფებლად.

ბროწეულის ხე, ან უფრო სწორად ბუჩქი, თითქმის უკვდავი და უბერებელია, ბუჩქი ყოველთვის იძლევა ახალ-ახალ ამონაყრებს, რომლებიც მობერებული და გამხმარი ძირების ადგილს იჭერენ და ასე მიმდინარეობს მისი მუდმივი განახლება.

გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტი მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში საქართველოში მოგზაურობის დროს თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ იგი ხვდებოდა უამრავ ნასოფლარს, სადაც ბროწეულის, ლეღვისა და თუთის ხეები მოწმობდნენ, რომ აქ ოდესღაც ცხოვრება ჩქეოდა.

ან რად გვინდა გიულდენშტედტის გახსენება, როცა დღესაც შეგვიძლია ვნახოთ ერთი ნასოფლარი ალაზნის პირზე, აყინოურის ველის დასაწყისთან. ამ ადგილს ადგილობრივი მცხოვრებლები ხირსას ეძახიან. აქ კარგად გამოარჩევ ყოფილ კარმიდამოებს, რომელიც ბროწეულის ხეებით ისეა დაფარული თითქოს ეს სოფელი გუშინ აყრილიყოს. ამ ადგილებში გარდა ხირსისა, აუარებელი მსგავსი სხვა ნასოფლარებია. აქედან სოფლებმა სხვა ადგილებში გადაინაცვლეს.

ბროწეული გავრცელებულია თითქმის ყველა სუბტროპიკულ და ნახევრად სუბტროპიკულ ზონებში, შუა და წინა აზიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, ირანში, თურქეთში, ავღანეთში და ამიერკავკასიაში. სწორედ ამ ქვეყნებში ხარობს ბროწეული ველური სახით.

ცნობილი რუსი ბოტანიკოსი ნ. ი. ვავილოვი ავღანეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებში წერდა: განსაკუთრებული მაღალი ხარისხის ბროწეული ყარდაგანში მოდის, ზამთრის პერიოდში ბაზარი გავსებულია მსხვილი და წითელწვნიანი შეუდარებელი ხარისხის ბროწეულით, ეს პირდაპირ ბროწეულის ქალაქია.

ბროწეულს დიდად აფასებდნენ ძველ საქართველოში. „ხელმწიფის კარის გარიგებით“ გარეჯის უდაბნოს ჰქონია დაკისრებული მეფისათვის ძღვნად ბროწეული მიერთმია.

თავისი სამფლობელოს შემოსავლელად წასულმა ერეკლე მეორემ თავის საყვარელ ქალიშვილს „თეკლა ბიჭს“, შემოდგომის ჟამს, როცა კახეთში ხილის ზღვა იდგა, სპეციალური შიკრიკის ხელით, როგორც ყველაზე სანუკვარი საჩუქარი, ბროწეულები გაუგზავნა.

არა მარტო ნაყოფი, არამედ დიდად მიმზიდველია ბროწეულის ალისფერი ყვავილი, მისი ყვავილობა თითქმის ორ თვეს გრძელდება და მთელი ზაფხული ამშვენებს ბაღებსა და კარმიდამოს.

საქართველოში ველური ბროწეულის დიდი მასივებია წითელწყაროს რაიონში: პანტიშარის ხეობაში, ლეკის წყალზე და სოფ. საბათლოდან მინგეჩაურის წყალსატევამდე, ალაზნის ნაპირებზე.

ბროწეულის ნაყოფი ძალზე ლამაზი, სასიამოვნო გემოსი და დიეტური თვისებების მქონე ხილია. დიდი რაოდენობით შეიცავს ლიმონის ორგანულ მჟავას (5 პროცენტამდე, ლიმონში 7,2 პროცენტია), 21 პროცენტამდე — ადვილად შესათვისებელი ფორმის შაქარს.

ძველთაგანვე ცნობილია ბროწეულის წვენის მრავალი სამკურნალო თვისებები: ჭარბი ტანინის გამო იგი კარგი საშუალებაა კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ, უებარი წამალია ცინგის, გულ-სისხლძარღვთა დაავადების საწინააღმდეგოდ, ანგინის, ასთმის, ძნელად შესახორცებელი ჭრილობების განსაკურნავად, აუმჯობესებს მადას და ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლასა და საჭმლის მონელების გაუმჯობესებას.

ჯერ კიდევ 500 წლის წინათ დაწერილ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სამკურნალო წიგნში — კარაბადინში, ბროწეული როგორც კუჭ-ნაწლავთა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ უებარი წამალი, რამდენიმეჯერაა ნახსენები.

კახეთისა და დასავლეთ საქართველოს სოფლებში საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებული ბროწეული ბევრით არ განსხვავდება ველური ფორმებისაგან თავისი წვრილი და მჟავე ნაყოფით, რადგანაც ჩვენში სელექციონერის ხელი ჯერ არ შეხებია ბროწეულს.

ამ მხრივ ბევრად უკეთესადაა დაყენებული საქმე აზერბაიჯანში, რომელთაც ბროწეულის ბაღები გაშენებული აქვთ მსხვილნაყოფა და კარგი ხარისხის ჯიშებით. მოთხოვნილება ბროწეულზე ყოველწლიურად იზრდება, საკოლმეურნეო ბაზრებზე კი იგი მხოლოდ აზერბაიჯანელებს შემოაქვთ და ყველა ხილზე ძვირად ჰყიდიან.

იმავე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მარტო ახლად ჩამოყალიბებულ 5 სპეციალურ საბჭოთა მეურნეობაში უკანასკნელ წლებში ბროწეულის ბაღები 1500 ჰექტარზე გააშენეს, ხოლო ახალ ხუთწლედში კიდევ გააშენებენ ერთ ამდენს, ჩვენში კი ბროწეული მთლიანი ნარგაობის სახით მხოლოდ ერთ-ორ საბჭოთა მეურნეობაშია, ისიც ძალზე მცირე ფართობზე.

ბროწეულის კულტურას უფრო გულდადებით უნდა მოვკიდოთ ხელი. სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით გათვალისწინებულია ხილის წარმოების შემდგომი გადიდება. ხოლო ძირითადად რომელი ხილის წარმოება უნდა გადიდდეს, ეს საჭირო იქნება განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რომელ ხილზე უფრო მეტი მოთხოვნილებაა. ბროწეულზე კი ჩვენში ძლიერ დიდი მოთხოვნილებაა.

ამის მიხედვით ბროწეულის ნარგავების გადიდებას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

აგრონომი **დ. ნატროშვილი**

---

პირდაპირ გეტყვი, გმირულად, მის ნიბაჩს თიხა სლიკინ-სლიკინით სცვიოდა.

— მერე რითი დამთავრდა? — ჰკითხა მეზღვაურმა. — დაამთავრეთ კამხალი ვადაზე?

— დავამთავრეთ თავის დროზე. მაგრამ ნულარ იტყვი. ის იყო უკანასკნელი ნიჩაბი მიწა გადაყარეს, რომ მზემაც გამოანათა, აციმციმდა მინდვრებზე. ბალახმა შრობა დაიწყო. მერე ის ორთქლი მინდვრებიდან ისევ ზევით წავიდა, ღრუბლად იქცა და მინდვრების თავზე ცურვა დაიწყო. ასე, ჩემო კარგებო! ვინც არ უნდა მითხრას ამის მერე, რომ ამ ქვეყანაზე სილამაზე უსარგებლოდ არსებობსო, მე მაინც არ დავუჯერებ. რადგან სულ სხვა რამეში დავრწმუნდი. აი, ესეც თქვენ, მთელი ჩემი ამბავი. უსწავლელი კაცი ვარ, დალაგებით ლაპარაკი არ ვიცი. ასე რომ, ალბათ არ მიწყენთ, თუ რამე თქვენი მოსაწონი ვერა ვთქვი.

— თვითეული ადამიანი გრძნობს სრულყოფილებას, — შენიშნა მატროსმა. — უამისოდ ის კაცი კი არა, პეპლის საჭერია.

— ჩვენი სილამაზე კი, — საცოდავად წამოიწყო ხნიერმა ქალმა, — დაჭკნა დიდიხანია.

— ხომ საწყენია? — ჰკითხა მოხუცმა.

— არა, რატომ! რა არის საწყენი! თუ ვიცით, რომ თავის დროზე ადამიანებისათვის სიხარული მოგვქონდა, რატომ უნდა დაგვწყდეს გული. წყენა ცოდვაა. მაგრამ აი, ის კი არ ვიცი, მომქონდა თუ არა სიხარული.

— იქნებ კიდევაც მოგქონდა, — თქვა სანიამ.— ასე უნდა იფიქრო და მაშინ გაგიადვილდება ცხოვრება, პრასკოვია!

— ამაზედაც მადლობას მოგახსენებთ, — წყნარად უპასუხა პრასკოვიამ და თაფლისკვერი ხელსახოცში გამოჰკრა.

მარტო მეგარმონე არ იღებდა ხმას. მაგრამ თითქოს მოხუცს უპასუხაო, ისევ წყნარად დაუკრა და დაამღერა.

— მაშ ასე, სადგურზე გასვლის დროა! — თქვა მატროსმა და წამოდგა. — კეთილად ბრძანდებოდეთ.

— მშვიდობით, შვილო, — უპასუხა მოხუცმა,— მაშ არავინ გაცილებს, შვილო! აი, უილბლობა! მე წამოვიდე, თუ რა?

— იყავ, ბაბუ! — გამოეპასუხა ახალგაზრდა ქალი, — და მის ხმაში რაღაცამ გაიწკრიალა, — მე გავაცილებ. აი, იმ მეგარმონესთან ერთად.

— აი, ეს ჰკვიანურია, — უპასუხა მეგარმონემ და წამოდგა. — სიმღერით გაგაცილებთ. მიბრძანდით, ამხანაგო მეზღვაურო, წინ!

მაგრამ მატროსმა ჯერ ახალგაზრდა ქალი გაუშვა. ბოლოს მეგარმონე გავიდა.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა მოხუცმა. — ტყუილად კი არ გავიხსენეთ თოვლი. ხომ ხედავთ, როგორ ბარდნის!

ყველამ გაიხედა ფანჯარაში. მსხვილი ფანტელები მოცვიოდა ციდან. ირგვლივ ყველაფერი გადათეთრებულიყო. გეგონებოდათ, თოვლმა ფრთხილად დაუხშო პირი ყველაფერს ცოცხალსო, — სოფელს სიჩუმე ჩამოსწოლოდა. ჰკები მიყუჩებულიყვნენ, არ ისმოდა მატარებლის საყვირები. მხოლოდ შორიდან, თითქოს თოვლის საბურველიდან, მოდიოდა გარმონის ხმა.

თარგმნა **ვ. ძიძიგურმა.**

კონსტანტინე წერეთელი

# მოგზაურობა საუკუნეთა სიღრმეში

## ური

ურის დათვალიერება არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც სხვა პუნქტებისა. სხვა დროს ჩემთვის საინტერესო ადგილას მივდიოდი ხოლმე იმ მსუბუქი მანქანით, რომელიც ბაღდადის უნივერსიტეტმა ჩემთვის გამოყო. საქმე ისაა, რომ ურისაკენ მიმავალი სამანქანო გზა გაფუჭებული იყო, ხოლო ავტოსტრადა, რომელმაც ბაღდადი უნდა დაუკავშიროს ბასრას დივანიაზე და ნასირიაზე გავლით, ჯერ არ არის დამთავრებული. ამრიგად, ჩემი მანქანით წასვლა იმ გზებზე შეუძლებელი იყო. მაგრამ რადგან მე დაბეჯითებით ვთხოვდი ჩემს მასპინძლებს (ამჯერად ბასრის უნივერსიტეტს) ურში როგორმე წავეყვანეთ, გადაწყდა, რომ ბასრიდან ნასირიაში ჩავიდოდით მატარებლით, ხოლო იქ ვიშოვიდით სამხედრო მანქანებს, რომლებიც ადვილად დადიან ყოველგვარ გზაზე, და ასე მივაღწევდით ურს. ბასრის უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ხალილ ალ-ტალიბი დაუკავშირდა ნასირიის გუბერნატორს, რომლის გუბერნიაშიც შედის ური და სთხოვა დაგვხმარებოდა. როგორც შეთანხმებულები ვიყავით, სამნი — მე, ბაღდადის უნივერსიტეტის თანამშრომელი ფუადი და ბასრის უნივერსიტეტის თანამშრომელი, არქეოლოგი 21 იანვარს საღამოს უნდა გავმგზავრებულიყავით ქ. ნასირიაში.

რკინიგზის სადგურში მისვლამდე მასპინძლებმა მოისურვეს ჩემთვის ეჩვენებინათ კუნძული სინდბადი, რომელიც ბასრის მახლობლად მდ. შატ-ელ-არაბში მდებარეობს. მივადექით კუნძულთან დამაკავშირებელ ხიდს, მაგრამ სამხედრო პატრულმა არ გაგვიშვა. უფრო სწორად მე არ გამიშვა. ბაღდადში გადატრიალების ცდის შემდეგ, რასაც ერაყის მთავრობა ირანის მეთაურების ცდებს უკავშირებდა, ირანის მეზობელ რაიონებში დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ. ეს კუნძული კი ახლოა სწორედ ირანის საზღვართან. პატრულებმა ატრიალეს ჩემი პასპორტი, მაგრამ რაკი არაბულის მეტი არც ერთი ენა არ იცოდნენ, ვერაფერი გაუგეს. ჩემი მასპინძლები უხსნიდნენ, თუ ვინ ვიყავი, რომ მე ბაღდადისა და ბასრის უნივერსიტეტების სტუმარი ვარ (სხვათა შორის, ჩემს ერაყულ ვიზაში ეწერა, რომ ბაღდადის უნივერსიტეტის სტუმარი ვარ, მაგრამ ეწერა ინგლისურად), მაგრამ მათ ვერაფერი გააგებინეს. ბოლოს პატრულებმა დააბრუნეს ჩემი პასპორტი და თქვეს: „ჩვენთვისაც და თქვენთვისაც უკეთესი იქნება, თუ კუნძულზე არ წახვალთ და ქალაქში უკან დაბრუნდებით“. სხვა რა გზა იყო, წავედით სადგურში. აქ სადგურის უფროსმა პირველი კლასის ვაგონში ჩაგვსხა და კეთილი მგზავრობა გვისურვა. ღამის თორმეტის ნახევარზე ნასირიაში ვიყავით. სადგურზე დაგვხვდნენ ქალაქის ხელმძღვანელები, რომლებიც გუბერნატორის სახელით მოგვესალმნენ და პირდაპირ სასტუმროში წაგვიყვანეს. აქ ჩვენ ნასირიის გუბერნატორის სტუმრები ვიყავით. შევთანხმდით, რომ ურში დილით ადრე გავემგზავრებოდით. მართლაც, მეორე დღეს, 27 იანვარს დილის 8 საათზე ორი პატარა სამხედრო მანქანით, ნასირიის გუბერნიის კულტურისა და განათლების დარგის ხელმძღვანელის თანხლებით გავეშურეთ ურისაკენ.

ური, შუმერული ცივილიზაციის ბრწყინვალე ცენტრი, სამი დინასტიის სატახტო ქალაქი იყო (IV ათასწლეულის ბოლოდან III ათასწლეულის დასაწყისამდე); აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია ურის მეფეთა III დინასტია (ძველი წელთაღრიცხვის 2118-2007 წ. წ.), რომელთა დროს შუმერულმა კულტურამ და ხელოვნებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. შემდგომში ამ ხელოვნებამ, კულტურამ, შუმერულმა ლურსმულმა დამწერლობამ განსაკუთრებული როლი შეასრულეს მთელი წინა აზიის ხალხთა ცივილიზაციაში.

ჯერ კიდევ შორიდან შევნიშნეთ ურის ცნობილი „წითელი ზიქურათი“ — აგურით ნაშენი საფეხურებიანი ტაძარი-კოშკი. მისი სიმაღლე დღეს 60 ფუტს აღწევს და იგი ურის III დინასტიის დროსაა აშენებული. აგურებზე ლურსმული ნიშნებით აღნიშნულია მეფის სახელი. ზიქურათის ნაწილი ამჟამად რესტავრირებულია. ‘ავდივართ კიბით შემორჩენილ კედელზე და გადავყურებთ ძველი ქალაქის ტერიტორიას. იქვე დიდი ტაძრის მახლობლად პატარა ტაძრის ნანგრევებია. აქვეა არქეოლოგების მიერ გაკეთებული ტრანშეები, სადაც მოჩანს ძველი სასახლეების კედლები. ყურადღებას იქცევს სამეფო საგვარეულოს სამარხები, სადაც მრავალი ძვირფასი მაღალმხატვრული ნაკეთობა იქნა აღმოჩენილი. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ურის სახელგანთქმული ხის ჩანგი, მოჭედილი ოქროთი და ვერცხლით. ჩანგის თავი წარმოადგენს ოქროსაგან გაკეთებულ ხარის თავს. ამ ჩანგის მოდელი ადრევე ვნახე ბასრაში, ჩემს სასტუმროში, რომელიც ურის სახელს ატარებს. ამავე სამარხებში აღმოჩნდა ნავის ვერცხლის მოდელი და მრავალი ოქროს მორთულობანი. ამ ნივთების დიდი ნაწილი ბაღდადშია დაცული, ერაყის მუზეუმში. აღმოჩენილია სპილენძის ნივთებიც, მათ შორის სპილენძის ქანდაკებანი და რელიეფები.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენამდე მოღწეული ური — ეს ძირითადად ურის III დინასტიის დროინდელი ქალაქია, განსაკუთრებით ამ დინასტიის მეორე მეფის შულგის ხანისა (2100—2042 წ. წ.). ჩვენ ვათვალიერებთ შულგის სასახლეს (უფრო სწორად, ამ სასახლის ნანგრევებს, რომელთა ნაწილი კარგადაა დაცული მიწაში). შულგი ურის დინასტიის ყველაზე ძლიერი მეფე იყო. მან მრავალი დაპყრობითი ომი ჩაატარა, რის შედეგად შექმნა ძლიერი სახელმწიფო, რომლის ფარგლებში შედიოდა თითქმის მთელი მესოპოტამია, სირია და სხვა. მან დაახლოებით ორმოცდაათი წელი იმეფა და ამ ხნის განმავლობაში არა მარტო ომებს აწარმოებდა, არამედ დიდ სამშენებლო სამუშაოებსაც ეწეოდა. ურის გათხრის ნაგებობათა დიდი ნაწილი და თვით ცნობილი ურის ზიქურათიც მისი მეფობის დროსაა აშენებული. გაძლიერებულმა შულგიმ თავი ღმერთადაც გამოაცხადა და, როგორც ლურსმული დოკუმენტები იუწყებიან, მის ქანდაკებას მსხვერპლიც კი ეწირებოდა.

ურში, მსგავსად ურის III დინასტიის ხანის შუმერის სხვა ქალაქებისა, აღმოჩნდა საყურადღებო არქივი, რაც ლურსმული წარწერების მქონე ფირფიტებს მოიცავს. მათი რაოდენობა ათეულ ათასებს აღემატება. მათ შორის გვხვდება სამეურნეო და ისტორიული ხასიათის ტექსტები, ჰიმნები და სხვ. ცნობილი ბაბილონური ეპოსის „გილგამეშის“ სიუჟეტი ჯერ კიდევ ძველ შუმერში იყო ცნობილი. გათხრების დროს ქ. ურში აღმოჩნდა ინკრუსტაცია გილგამეშის გამოსახულებით (გილგამეში ახრჩობს ურჩხულს).

III ათასწლეულის დასაწყისში შუმერის ქალაქებში სახლდებიან სემიტი მოდგმის ტომები, რომლებიც ამორეველებად არიან ცნობილნი. ისინი ავიწროებენ ურის მმართველებს. მათ დაერთვის ელამელთა ლაშქრობანი, რომლებმაც 1007 წელს ბოლო მოუღეს ურის ბატონობას და მოსპეს ქალაქი.

ზიქურათიდან კარგა მოშორებით დავათვალიერეთ ქალაქის ნანგრევები უფრო გვიანდელი ხანისა, ე. ი. ძველი ბაბილონური პერიოდისა (ძვ. წელთაღრიცხვის XIX-XVII ს. ს.). აქ საკმაოდ კარგადაა დაცული ქალაქის სახე: ქუჩები, სასახლეები, ტაძრები.

ურს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თხრიდნენ ინგლისელები და ამერიკელები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ გათხრებს დიდი მასშტაბით აწარმოებდნენ და წარმატებითაც, გასათხრელი კიდევ ბევრია. სამწუხაროდ, ამჟამად აქ გათხრები და სარესტავრაციო სამუშაოები საკმაოდ სუსტად მიმდინარეობს. დიდი ტაძრისა და შულგის სასახლის ახლოს ბლომად ყრია ძველი კერამიკის ნამტვრევები, სასახლისა თუ ტაძრის აგურების ნანგრევები. მასპინძლები სუვენირად მაძლევენ ურის ტაძრის აგურის ნატეხს ლურსმული ნიშნით და ოფსიდიანის შუბის წვერს. ერთხელ კიდევ გადავხედე ურის ზიქურათს, გადავიღე კინოფირზე და გავბრუნდით ნასირიისაკენ.

გზაზე, უდაბნოში საკმაოდ ხშირად გვხვდებიან მომთაბარე არაბთა მთელი ოჯახები აქლემებით, ცხენებით, სახედრებით. ზოგიერთს აქვე, ურის მახლობლად დაუდგამს შავი კარავი და შეუსვენია.

ნასირიაში დაბრუნებისთანავე პირდაპირ მუზეუმში გავეშურეთ.

ნასირიის მუზეუმი ქალაქის განაპირას დგას მდ. ევფრატის ნაპირზე. მის წინ შესანიშნავი პალმების ტყეა. ეს შენობა ააშენა ცნობილმა „ნავთობის მეფემ“ გულბეკიანმა, რომელიც ერაყის მთელი ნავთობის 5 პროცენტს ფლობს. ამიტომ მას აქ „ბატონ ხუთ პროცენტს“ უწოდებენ. ეს ნაწილი წლიურად დაახლოებით 15-20 მილიონ დინარს (ე. ი. სტერლინგს) უდრის.

ნასირიის მუზეუმი შარშან გაიხსნა. ეს არის კარგი ორსართულიანი შენობა, რომლის ერთ ფრთაზე საგამოფენო დარბაზებია გამართული, მეორე მხარეს კი — მუზეუმის ბიბლიოთეკა და სამუშაო ოთახებია. აქვეა სტუმრებისათვის მოსასვენებელი ადგილი და სასაუზმე. გამოფენა, მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმი ახლახან არის დაფუძნებული, კარგადაა მოწყობილი. ექსპონატები წარმოდგენილია ექვს დარბაზში. I დარბაზში გამოფენილია ექსპონატები პრეისტორიული ხანისა, II და III დარბაზებში ჩვენ ვხედავთ შუმერულ მასალას, IV დარბაზი ეძღვნება ბაბილონურ ძეგლებს, V დარბაზში ექსპონირებულია პართის მასალა, ხოლო ბოლო VI დარბაზში წარმოდგენილია ისლამის ხანის მატერიალური კულტურის ნიმუშები. ორიგინალებთან ერთად აქ გვხვდება ასლები ძეგლებისა, რომელთა ორიგინალი ბაღდადში ან უცხოეთში ინახება (მაგ. ხამურაბის კოდექსი, რომელიც ლუვრშია დაცული). ამრიგად, ნასირიის მუზეუმში გამოფენილია არა მარტო ურის, ან საერთოდ შუმერის მატერიალური კულტურის ძეგლები, არამედ მთელი მესოპოტამიისათვის დამახასიათებელი მასალა (ორიგინალი თუ ასლები). ასეა მეტ-ნაკლებად ერაყის ყველა მუზეუმში.

მცირე შესვენების შემდეგ მივდივართ ქალაქ ნასირიის დასათვალიერებლად. ქალაქი პროვინციულია ბაღდადთან, თუ ბასრასთან შედარებით. მას განსაკუთრებით ალამაზებს მდ. ევფრატი და პალმები, რომლებიც აქ უხვად ხარდება. ევფრატი ტიგროსზე ბევრად ლამაზია: უფრო ლურჯი და ანკარაა. ამასთანავე. ნასირიის ფარგლებში მის ნაპირებზე მაღალი ფინიკის პალმების მთელი ტყეებია. სახლები — უმეტესად ერთ ან ორსართულიანი, ქუჩები ვიწრო და

* იხ. „დროშა“, 1970 წ. № 12.

# გურამიშვილის წყარო

ლამისყანელი ილიკო ღვინიაშვილი ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის კაცია, შუა ტანის, ხანდაზმულობა, ღარული სახის გარდა, ხელებზეც ემჩნევა, მაგრამ მოხუცი სიბერეს არ ეპუება. ჩვენი მისვლის ამბავი რომ გაიგო, საქმეს თავი მიანება და შინ მიგვიპატიჟა. სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს ტარიელ მაყიშვილს და საბჭოთა მეურნეობის აგრონომს მეგი ცქვიტინიძეს მასპინძელი კარგად იცნობს, ჩემი ვინაობაც პაპას მათ გააგებინეს.

— ჩემი შვილიშვილიც თქვენი ხელობისაა, — მეუბნება მოხუცი, — სირცხვილიც იქნებოდა, ამისთანა კარგ დროში რომ არ ევარგა. დასხედით, რა ფეხზე დგახართ, შენ რაღა თქმა გინდა ტარიელ, უცხო ხომ არა ხარ?!

მეგი ცქვიტინიძემ დასაჯდომად სკამები მოგვაწოდა.

— ზამთარი ახლოვდება, ზამთარი! — ხელების ფშვნეტით ამბობს პაპა ილიკო.

„მოხუცია და სცივა", — გავიფიქრე. ოთახი შევათვალიერე. ღუმელი არ ედგა. მოხუცი მგონი მიმიხვდა ფიქრს და მითხრა:

— ბუხარს ეძებ, რაღად მინდა? გაზიც აქ არის და ელექტრონიც.

— კარგ დროს მოესწარი პაპა, მეტი რა გინდა,— ვუთხარი და თან ილიკოს შევხედე, მაინტერესებს თუ რა პასუხს მომცემს.

— სიცოცხლის გარდა, არაფერი შვილო! — მოხუცი ჩაფიქრდა, მერე თავი მაღლა ასწია და ფანჯრიდან შემოვარდნილ შუქს თვალი გაუსწორა.

ამ სიტყვებმა უნებურად წარსულისაკენ გადაგვახედა. ტარიელს ჩაეცინა და მოხუცს ჰკითხა:

— ერთი ის მითხარი, პაპა, ის როგორ იყო, თავად ერისთავის მოურავი რომ წაგეჩხუბა?

— ეგ მე კი არ ვიყავი, ბიჭო, ჩემი მძახალი იყო, იმასაც ილიკო ერქვა. გვარად კი ზოზრაშვილი იყო. სახელის გამო ეშლებათ, შენ საიდან იცი ეგ ამბავი?

— ვიცი, გამიგონია! მაინც მოგვიყევი.

— შინაური ხალხი ვართ, არსად ვიტყვით, — არ ეშვება მეგიც.

— რა მოსაყოლი ეგ არის! — ამბობს პაპა და იწყებს, — თავად ერისთავის მოურავს ილიკოს ხბო დაეჭირა, ილიკო წასულიყო მოსაყვანად. თურმე მოურავმა შეუბღვირა — ხბოს რატომ არ აბამ, ეგრე რო გაგიშვია, რა დიდი მამულის პატრონი შენა მყავხარო! — და თანაც სილა გაუწნავს. ჩემი მძახალი მოჭიდავე იყო, ცალი ხელით დაფშვნიდა იმ მოურავს, თურმე კიდეც გაიწია, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ თავისებს გარდა, ობოლი დისშვილებიც ჰყავდა შესანახი, ახლა ამას რომ ვცემო, ისეთი ძაღლი ვინმეა, ციხეში მიკრავენ თავს, გამობრუნებულა და წამოსულა. ის სილა კი არ დავიწყებია. დროება რომ შეიცვალა, შეხვედრია ნამოურავალს და უთქვამს — კაცო, შენი ვალი მმართებს და აქამდე ვერ დაგიბრუნეო, ნამოურავალს გახარებია, აგაშენა ღმერთმა, მეც არ მახსოვდაო. აბა, მაშ აჰა, ჩაიბარეო, უთქვამს ილიკოს და ერთი თუ ორი... სულ სარგებლითა და პროცენტით დაუბრუნებია უკან ის ვალი.

სტუმრები იცინიან. ილიკო პაპა ფეხზე დგება და კარს აღებს.

— კოლა, ჰაი კოლა, რო წამოხვიდე, თან ხილი წამოაყოლე, გესმის ბიჭო! — გასძახა ილიკომ თავის ვაჟს, რომელიც ბაღში ტრიალებდა. მოხუცმა კარი მიხურა და საწოლზე ჩამოჯდა.

— მაშ ასე იყო, პაპა, ჰა, — ვთქვი.

— ასე იყო შვილო. მას მერე ლამისყანაში ბევრმა წყალმა ჩაიარა.

წყლის ხსენებაზე მომაგონდა — აქეთ რომ მოვდიოდი, სასმელი წყლის მილები შევნიშნე, მიწაში აწყობდნენ.

— წყარო საით გაჰყავთ? — ვკითხე მოხუცს.

— თეზსა და ოკამში. საბჭოთა მეურნეობას უნდა უმადლოდნენ იქაურები.

კარი იღება და ოთახში კოლა შემოდის.

— ასე, შე კაი კაცო, ამდენხანს სად იყავი, — მეგი ოთახში შემოსულ კოლას შეეშველა, — შიმშილით არ დაგვხოცე!

სუფრა გაიწყო.

— გურამიშვილის წყაროს ამბავმა, როგორ ჩაიარა?! — შევაპარე მოხუცს კითხვა, ვიცოდი, რომ ამ წყაროს თაობაზე მეურნეობას ედავებოდნენ და იმიტომ მაინტერესებდა.

— იმ წყაროს ამბავი მე უფრო ვიცი, შვილო, გურამიშვილის წყარო იქ კი არ იყო, სადაც მეურნეობას წამოედავნენ, სხვა ადგილას გამოდიოდა, ზაქარია ილურიძეს რა ვუთხარი, ეს საქმე რომ სადაო გახადა.

— როგორ თქვი პაპა? — ჰკითხა თავმჯდომარემ და სმენად გადაიქცა.

— აი ზაქარია ილურიძეზე ვამბობ, გურამიშვილის წყარო რომ არ ჩაექვავებინა, არც ასეთი გაუგებრობა მოხდებოდა-მეთქი.

— ჰოო.

— სად იყო გურამიშვილის წყარო? — ვკითხე მეც.

— სწორედ იმ ადგილას იყო, ახლა პატარა ტირიფის ხე რომ დგას, ილურიძემ რომ ჩააქვავა, წყარომ იდინა, იდინა და ჩემს ვენახში, სადაც ერთი დიდი შავრცხილა იდგა, იქ გამოხეთქა.

— რას ერჩოდა, რა უნდოდა?

— საურმე გზა არა ჰქონდა და თავად ორბელიანს სთხოვა, გზას გაგიკეთებო, იმანაც უარი არ უთხრა. ილურიძე წავიდა, ურმით ჭალიდან რიყის ქვები მოზიდა, წყარო ჩააქვავა, ზედ მიწა მიაყარა და საურმე გზა გაიკეთა. წყარო განაწყენდა და დაიკარგა.

— მაგას ვანო ქენქაძეც ადასტურებს, — ვთქვი.

— ჰო, ვანო ჩემზე სამი წლით პატარაა და ემახსოვრება.

მერე ვანო ქენქაძესაც ვესაუბრე. მან მითხრა:

— ილურიძემ წყარო რომ ჩააქვავა, ღვინიაშვილის წყაროზე დავდიოდით, იქ, სადაც დიდი შავრცხილა იდგა. დროთა განმავლობაში, რატომღაც ეს წყარო გურამიშვილის წყაროდ მონათლეს. რაც მთავარია, ირტოზის გორა ღვინიაშვილის წყაროდან არა ჩანს და ლეკები გურამიშვილს საიდან დაინახავდნენო. დავითი ხომ ამბობს, წყაროზე ხელ-პირს რომ ვიბანდი, ლეკებმა ირტოზის გორიდან დამინახესო.

— ეგ მართალია, — დაადასტურა ილიკო პაპამ. დუმილი ჩამოვარდა. მოხუცმა ოთახში გაიარ-გამოიარა და თქვა:

— აქ მწერლები ხშირად დადიოდნენ, მაგ წყაროს ეძებდნენ და უტრიალებდნენ, — ერთხელ წიგნიც აჩუქეს ვანოს, ჩემს სიძეს.

დამაინტერესა ამ წიგნის ამბავმა და ვანოს ოჯახს მივაკითხე. იქ ვნახე გივი გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილი „ინგლისური ლექსები და ბალადები", სატიტულო ფურცელზე წარწერილი იყო: „ვანოს კარგ ოჯახს ეს მცირედი საჩუქარი. გიორგი შატბერაშვილი, ერემია ქარელიშვილი, გიორგი ნატროშვილი, კარლო კალაძე, ალიო მაშაშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი. ლამისყანა, 24 III. 46 წელი".

ვანო ზოზრაშვილი ჰოლანდიაში ქართველი პარტიზანების ბრძოლის მონაწილე იყო, მწერლებმა იცოდნენ მისი ამბავი და აქ ლამისყანაში რომ ჩამოვიდნენ, გახსენებიათ და უკითხავთ ვანო ზოზრაშვილი სად ცხოვრობსო. ვანოს თავის სახლში მიუპატიჟნია ისინი და კარგი დრო გაუტარებიათ.

უშანგი ბედია.

---

ნაკლებად დატვირთული ტრანსპორტით. ჩვენ პირველ რიგში აქაური ქალაქებისათვის მეტად დამახასიათებელ და მნიშვნელოვან უბანში — სუკზე (ბაზარში) გავიარეთ. აქ განსაკუთრებით ბევრია ახალთახალი თევზი, რომელსაც ევფრატში იჭერენ მეთევზეები და აქვე ჰყიდიან. ჩვენი ყურადღება მიიქცია უზარმაზარმა თევზმა, რომელსაც არაბულად „კატანს" უწოდებენ. ჰყიდიან მას ცალობით და თითო 1 დინარი ღირს. მე მქონდა შემთხვევა ეს თევზი ნასირიის სასტუმროში მეჭამა და ძალიან გემრიელი მეჩვენა. მატარებელი ბასრისაკენ დღის 8 საათზე გადიოდა და ჩვენ დიდი დრო არ გვქონდა ქალაქში გვეხეირნა, იძულებული ვიყავით მალე სადგურში წავსულიყავით.

ვსხდებით მატარებელში. ვაგონში რბილი ზურგმოძრავი სავარძლებია, ისეთი ტიპისა, როგორც თვითმფრინავში. მატარებელი გადის დაჭაობებულ ადგილებს. ჯერ გვხვდება პატარ-პატარა ჭაობები, სადაც პალმები ხარობენ და სოფლებია გაშენებული. მოჰყავთ ბრინჯი. მათი ძირითადი საქონელი კამეჩებია. რკინიგზის გასწვრივ ჭაობები 120-180 მილზე გრძელდება. მალე ეს პატარ-პატარა ჭაობები ზღვად იქცა. რკინიგზის ორივე მხარეს უზარმაზარი ფართობი წყლითაა დაფარული. ამის გამო გაძნელებული იყო მოძრაობა ამ რაიონში, ჭირდა აქ არსებული სოფლების დაკავშირებაც. რკინიგზა ამ ჭაობებზე გაიყვანეს კასემის დროს, საბჭოთა ინჟინრების დახმარებით.

საღამოს 6 საათისათვის დაღლილები დავბრუნდით ბასრაში და ისევ „ურს" მივაშურეთ, მაგრამ ამჯერად არა ქალაქს, არამედ სასტუმრო „ურს".

### ქტესიფონი

ბაღდადის მახლობლად, მის აღმოსავლეთით, მდ. ტიგროსის მარცხენა ნაპირზე ძველი სასახლის ნანგრევებია, უფრო სწორად, დაცულია სასახლის ნაწილი აგურის კედლისა და დიდი თაღის სახით. ეს არის ნაშთი სასანიანთა სატახტო ქალაქის ქტესიფონის სასახლისა, რომელიც 1887 წ. ადიდებულმა ტიგროსმა დაანგრია და წალეკა. ქტესიფონი, ვიდრე ის სასანიანთა სატახტო ქალაქად იქცეოდა, წარმოადგენდა საბანაკო დასახლებას, რომელიც პართელებმა ძვ. წ-ის I საუკუნეში დააარსეს ბერძნების ქალაქის სელევკიის პირდაპირ. სასანიანთა სატახტო ქალაქად იგი III ს-ის შემდეგ გახდა. ქტესიფონი მოგვიანებით ხელთ ჰქონდათ რომაელებს და ბოლოს (637 წელს) იგი არაბების ხელში გადავიდა.

შემორჩენილი აგურის თაღი, რომლის სიმაღლე 37 მ-ია, ხოლო სიგანე 25 მ., ასეთ ნაგებობათა შორის უნიკალურია და სასანიანთა მაღალ სამშენებლო ხელოვნებაზე მიუთითებს. ამჟამად აქ მიდის დარღვეული კედლის რეკონსტრუქცია. მის გარშემო მდებარე ტერიტორიაზე გაყვანილია სავალი ბილიკები, ამოთხრილია ჭები, დგას მნახველთა დასვენებისათვის განკუთვნილი პატარ-პატარა სახლები. ყველაფერი შესანიშნავადაა მოვლილი, რაც ადამიანს დასვენებისათვის განაწყობს. ამიტომ, როგორც ჩვენ გვითხრეს, ბაღდადიდან ხშირად მოდიან აქ სწორედ ამ მიზნით.

# ძველქართული ფილოსოფიური ნააზრევი მსოფლიო ფილოსოფიის ანთოლოგიაში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა დაიწყო ფრიად სოლიდური კორპუსის გამოშვება — „მსოფლიო ფილოსოფიის ანთოლოგია“ 4 ტომად. I ტომის II ნაწილში, სხვასთან ერთად, წარმოდგენილია ექსცერპტებით ძველქართული ფილოსოფიური ნააზრევი. აქ შეტანილია: აბიბოს ნეკრესელი, „სიბრძნე ბალავარისა“, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და შოთა რუსთაველი. ასე სრულად ანთოლოგიურ კრებულში რუსულ ენაზე აქამდე არ ყოფილა წარმოდგენილი ძველი ქართული ფილოსოფია და ამ მხრივ ამ ანთოლოგიის მნიშვნელობა უდავოდ დიდია.

ხსენებულ ანთოლოგიაში ქართული მასალები შერჩეულია ძველქართული საზოგადოებრივი აზრის ცნობილი მკვლევარის შ. ხიდაშელის მიერ. მასვე ეკუთვნის თარგმანიც აბიბოს ნეკრესელისა და „სიბრძნე ბალავარისას“ მოტანილი ადგილებისა. „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტები ამოღებულია შ. ნუცუბიძის თარგმანიდან, ეფრემ მცირის ექსცერპტები მ. რაფავამ თარგმნა, ი. პეტრიწი მოტანილია ი. ფანცხავას თარგმანით **(И. Петрици, Рассмотрение платоновской философии и Прокла диадоха. Перевод с грузинского и исследование И. Д. Панцхава, Тб., 1942).**

შ. ხიდაშელსავე მოუმზადებია მასალები არეოპაგიტიკის წარმოსადგენად. არეოპაგიტიკის საკითხების მეურვეობა ანთოლოგიის ფრიად ავტორიტეტული სარედაქციო კოლეგიის მიერ ქართველ მეცნიერს რომ მიენდო, ეს მრავალმხრივ საყურადღებო ფაქტია; როგორც ცნობილია, შ. ნუცუბიძემ 1942 წელს წამოაყენა დებულება, რომ შუა საუკუნეებისათვის ალბათ ყველაზე უმნიშვნელოვანესი ამ ფილოსოფიური წიგნების ავტორი უნდა იყოს ქართველი უფლისწული, V საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე პეტრე იბერი. ამ თვალსაზრისს, მართალია, ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, მაგრამ ჰყავს მოწინააღმდეგენიც და ამდენად მისი განსჯა ჯერჯერობით არ დამთავრებულა. ამიტომ, რასაკვირველია, ყურადსაღებია აღნიშნული ანთოლოგიის სარედაქციო კოლეგიის პოზიცია: აშკარაა შემდგენლები ანგარიშს უწევენ შ. ნუცუბიძის თეორიას. მათ არეოპაგიტული წიგნების ექსცერპტები არ შეუტანიათ განყოფილებაში — „ბიზანტიური ფილოსოფია“, რომელიც აქ გამოცალკევებულადაა წარმოდგენილი. მეორე მხრივ, ჩვენ სავსებით სწორად მიგვაჩნია ისიც, რომ ისინი არ შეუტანიათ პირდაპირ „ქართულ ფილოსოფიაში“, არამედ მოუთავსებიათ, შესაძლებელია, სპეციალურად ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოყოფილ ასეთ „კომპრომისული“ სახელწოდების მქონე განყოფილებაში: „ადრექრისტიანული ფილოსოფია“. აქ მხოლოდ არეოპაგიტიკა და ავრელიუს ავგუსტინეს (354-430 წ.წ.) თხზულებანია წარმოდგენილი.

ქართული მასალები მკითხველისათვის ცხადყოფს, რომ ძველი ქართული ფილოსოფიური აზროვნებისათვის ცნობილი და ახლობელი ყოფილა შუა საუკუნეების თითქმის ყველა ძირითადი ფილოსოფიური პრობლემა. ასევე ნათელი ხდება, მაგალითად, რომ VI საუკუნეში ქართველები სპარსელებს მარტო ბრძოლის ველზე კი არ უპირისპირდებოდნენ, არამედ ფილოსოფიის სფეროშიც, ცდილობდნენ თეორიულად გაებათილებინათ მათი მოძღვრების მთავარი საყრდენი — სამყაროს პირველსაწყისად ცეცხლის მიჩნევა; ეფრემ მცირის, XI საუკუნის „დიდი ქართველი მეცნიერის“ (ივ. ჯავახიშვილი), თვალსაზრისით, ვერავითარი მოძღვრება, თვით თეოლოგიური მოძღვრებაც, ვერ იქნება სრულყოფილი ფილოსოფიის გარეშე; ასე ამკვიდრებდა იგი ფილოსოფიის მაღალი მნიშვნელობის შეგნებას; მისი თვალსაზრისი, ვფიქრობთ, უფრო ამაღლებდა ფილოსოფიის მნიშვნელობას იმდროინდელ აზროვნებითს სისტემაში, ვიდრე თვალსაზრისი თვით უდიდესი მწერლისა და ფილოსოფოსის იოანე დამასკელისა, რომლის მიხედვით, სარწმუნოება ბანოვანია და ფილოსოფია — მისი მხევალი.

იოანე პეტრიწის აზროვნების დონეს კი იშვიათად თუ აღწევდა რომელიმე სხვა იმდროინდელი ფილოსოფოსი. ასეთი მსჯელობის საშუალებას მეტადრე ეს კრებული გვაძლევს, რამდენადაც აქ ქართველი ფილოსოფოსის ნააზრევი სხვათა ფონზე შეიძლება შევაფასოთ. აქვე შეიძლება გავიმეოროთ ნ. მარის სიტყვები, რომ ამ პერიოდის „ქართველები ფილოსოფიის სფეროში დაინტერესებულნი იყვნენ იმავე საკითხებით, რომლებიც აფიქრებდათ მაშინდელი საქრისტიანო მსოფლიოს მოწინავე მოაზროვნეებს როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში; ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იმ დროს ქართველები სხვაზე უფრო ადრე ეხმაურებოდნენ ფილოსოფიური აზრის სულ ახალ მიმდინარეობებს და მუშაობდნენ თავისი დროისათვის სამაგალითო ტექსტუალური კრიტიკით სრულიად შეიარაღებულნი უშუალოდ ბერძნულ დედნებზე“

მკითხველს საშუალება ეძლევა პეტრიწის გვერდით განიხილოს ალ-ქინდის, იბნ-სინას, ალ-ღაზალის თუ იბნ-რუშდის ნააზრევი. ჩვენ სპეციალურად გამოვყავით სხვათაგან საკუთრივ არაბულ-ისლამური ფილოსოფიის წარმომადგენლები. საქმე ისაა, რომ ჯერჯერობით ვერაა სრულყოფილად მოშველიებული არაბული ფილოსოფია ძველქართული ფილოსოფიის კვლევისას. ამავე დროს, კარგა ხანია ცხადყოფილია, რომ არაბები ერთ-ერთი პირველთაგანნი იყვნენ, რომელთაც შუა საუკუნეებისათვის გააცოცხლეს პლატონი და არისტოტელე; ეს კი ცნობილია, მაგრამ კონკრეტულად მაინც თვით რუსთაველის არაბულ ფილოსოფიურ სამყაროსთან მიმართება ჩვენთვის როდია მთლიანად ნათელი. ამ მხრივ, ჩვენ უთუოდ დიდ დახმარებას გაგვიწევს ეს ანთოლოგია, ისე როგორც დღემდე არსებული ერთადერთი კრებული ამავე სფეროში: **«Избранные философские произведения мыслителей стран Ближнего и Среднего Востока», М., 1961.**

არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიოთ ნ. კილაძის ახლახან გამოსული, ზემოაღნიშნული თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო წიგნი „ალ-ღაზალი და მისი „თაჰაფუთ ალ-ფალასიფა“ (თბ., 1970), რომელიც ფაქტიურად ერთადერთი მონოგრაფიაა ქართულად არაბულ ფილოსოფიაზე.

ქართული მასალები ამ წიგნში ანთოლოგიის პირობაზე არსებითად სრულყოფილადაა წარმოდგენილი. საერთოდ კი კრებულში მასალის მოწოდების თანაფარდობა ზოგჯერ დარღვეულია. თავისთავად კარგია, რომ რამდენადაც შესაძლებელია, სრულყოფილადაა წარმოდგენილი საბჭოთა ხალხების ფილოსოფია: ამით შესაძლებლობა იქმნება რუსული წიგნის მრავალრიცხოვანი მკითხველი გაეცნოს ამ ხალხთა საზოგადოებრივი აზრის ისტორიულ განვითარებას. ამასთანავე, ჩვენი აზრით, თვით საბჭოთა ხალხების წარსულის ნააზრევის უკეთ გასათვალისწინებლად საჭირო იყო უფრო სრულყოფილად ყოფილიყო წარმოდგენილი ბიზანტიური ფილოსოფია. აქ კი სულ სამი ავტორია: იოანე დამასკელი, მიქელ პსელოსი და იოანე იტალოსი. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული, ქართული და სომხური ფილოსოფიის ურთიერთობას ბიზანტიურთან. ამ ურთიერთობათა საკითხების სრულყოფილი გათვალისწინება კი ამ სამი ავტორით შეუძლებელია.

ასევე სასურველი იყო აბუ-ლ-ალა ალ-მაარის, ალ-რაზის ან თუ ალ-ბირუნის მოსაზრებათა გაცნობა ასეთი სახის კრებულიდან.

ქართული მასალები, როგორც ვთქვით, არსებითად სრულყოფილადაა მოტანილი, მაგრამ ზოგიერთი სურვილი მაინც რჩება. VI საუკუნის ფილოსოფიური ნააზრევის მოხმობა შეიძლებოდა ანონიმის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდანაც“ ანდა, თუ ანთოლოგიის მოცულობის განსაზღვრულობა მასალის დამატებას ვერ ითმენდა, ნეკრესელის მაგივრად ეს ნაწარმოები უნდა გამოგვეყენებინა. ანთოლოგიაში მოტანილი სიტყვები წარმოდგენილი ფორმით ეკუთვნის ნეკრესელის შესახებ მისი მოღვაწეობის შემდგომ ხანაში დაწერილი ნაწარმოების ავტორს. არაა გამორიცხული, რომ ის სწორედ VI ს-ის მოღვაწემ გამოთქვა. მაგრამ არ იყო აუცილებელი ასეთი სადავო ფაქტის გამოდევნება, რამდენადაც სწორედ იგივე საკითხი (ცეცხლის ღმერთობის განქიქება) და სწორედ იმავე პერიოდიდანვე (VI ს.) მოცემულია „ევსტათის მარტვილობაში“.

ანთოლოგიაში ხუთი ქართველი ავტორია. შემდგენელს, ცხადია, სხვა მასალებიც ჰქონდა ხელთ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ასეთი ანთოლოგიების მოცულობითი განსაზღვრულობა. ერთი კი შეიძლებოდა: განყოფილებებს თავში დართვოდათ სრული საცნობარო მიმოხილვა, რომელიც მკითხველს გააგებინებდა — ამოიწურება თუ არა წარმოდგენილით არსებული მასალა.

მაგრამ მოცემული სახითაც ეს ანთოლოგია ძველ ქართულ ფილოსოფიას (ისევე, როგორც სხვას) დიდ სამსახურს გაუწევს — ამიერიდან შესაძლებელი ხდება მისი პოპულარობა შორს გასცდეს სპეციალისტთა ვიწრო წრეს. ასე რომ, უდავოდ დიდია ამ ანთოლოგიის მნიშვნელობა საერთოდ და, კერძოდ, ქართული კულტურული წარსულის შემდგომი პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

რევაზ სირაძე

გაზეთის ერთი სტრიქონი

# ოთხი საქმე საკვირველი

ვახუშტი ბაგრატიონი „საქართველოს ცხოვრებაში“ მოგვითხრობს: „ხოლო შიხი იგი იყო ჟამსა თემურისასა არდაველს და უწყეს მანქანება მისი ლანგთემურს და თემურ მივიდა ხილვად მისა. მაშინ შიხმან უჩვენა საქმე ეშმაკისა ოთხნი საკვირველნი, განცვიფრდა თემურ და ეტყოდა: რა გნებავს, მთხოვე, რათა მოგანიჭო“.

ვინ არის ეს „ეშმაკის მსახური“ შეიხი (არაბულად შეიხი ეწოდება გვარის მეთაურს, აგრეთვე უმაღლეს სასულიერო პირს), ანდა ასეთი რა საკვირველი საქმენი უჩვენა თემურ-ლენგს, რომელიც იმდენად განცვიფრდა მისი ნამოქმედარით, რომ ქალაქი არდებილი უბოძა საშვილიშვილოდ?

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ადამ ოლეარიუსი თავის წიგნში „დაწვრილებითი აღწერა ჰოლშტინიის ელჩობის მოგზაურობისა მოსკოვიასა და სპარსეთში“ გადმოგვცემს:

როდესაც შეიხ სეფი თავისი მოძღვრებითა და წმინდა საქმეებით ცნობილი გახდა მთელს აღმოსავლეთში, მისი ნახვა მოისურვა თემურმა. მან საიდუმლოდ ჩაიფიქრა სამი გამოცდა, რითაც სურდა გაეგო, მართლაც წმინდანია სეფი და ჭეშმარიტია თუ არა მისი მოძღვრება. აი, ეს სამი გამოცდა: 1. სეფი არ უნდა გამოსულიყო თემურის შესაგებებლად; 2. ბრინჯი, რომელსაც მოართმევდნენ სტუმარს, მოხარშული უნდა ყოფილიყო ველური თხის რძეში, და არა ცხვრისაში; 3. საწამლავს, რომელსაც თემური მიაწოდებდა სეფის, სრულიადაც არ უნდა ევნო მისთვის.

ასეთი სასტიკი შემოწმება გადაწყვიტა თემურმა და გზას გაუდგა. როცა მიუახლოვდა სეფის ადგილსამყოფელს, მასპინძელი არ გამოსულა თავისი ოთახიდან. თემურმა შეაღო კარი. სეფი წამოდგა და თქვა: „ხელმწიფის წინაშე ჭერ არს წამოდგე. შემინდე, რომ არ შეგეგებე გარეთ. მაგრამ ეს შენ თვითონ ისურვე ჩემს გამოსაცდელად“. ამის შემდეგ დასვა თემური გაღებულ კართან, რათა მას კარგად დაენახა, როგორ მორბოდნენ უდაბნოდან ველური თხები და რაღაც ჯადოს ძალით მორჩილად დგებოდნენ მოსაწველად.

მეორე გამოცდაც ბრწყინვალედ ჩააბარა ტელეპატიის ნიჭით დაჯილდოებულმა შეიხმა. რჩებოდა მესამე გამოცდა, ყველაზე რთული და, რაც მთავარია, სახიფათო. სეფიმ უდარდელად შენიშნა, რომ ახლა საწამლავის დალევა-ღა დარჩენია. ჩაიცვა თეთრი პერანგი, შემდეგ შესვა საწამლავი და დაიწყო როკვა, მაგრად რომ გაოფლიანებულიყო. ბოლოს, ცეკვა-ხტუნვით დაღლილმა პერანგი გაიხადა, ჰიქაში გამოწურა საწამლავისგან მთლად გამწვანებული ოფლი და თემურს მიმართა: „აჰა, შენი საწამლავი, არავითარი ზიანი არ მიუყენებია ჩემთვის!“

ამის მნახველი, თემური კი არა, თვით ეშმაკიც განცვიფრდებოდა. თემურმა ირწმუნა სეფის მოძღვრება; უბოძა მას ქ. არდებილი და ირგვლივ მდებარე სოფლები, აგრეთვე რამდენიმე ასეული ტყვე თურქი, რათა ისინი მოექცია თავის რჯულზე.

ადამ ოლეარიუსს ეს ამბავი სპარსელ სწავლულთაგან გაუგონია და დაეჭვებით უყურებს, რადგანაც მისი აზრით, სეფისათვის ღვთაებრიობის მინიჭების სურვილით სპარსელები თხზავენ აუარებელ სასწაულს და ყველას მიაწერენ ისევ და ისევ შეიხ სეფის.

ოლეარიუსის სკეპტიციზმს მტკიცე საფუძველი აქვს. გულთმისნობაზე თუნდაც თვალი დავხუჭოთ, თავისთავად თემურისა და სეფი ედ-დინის შეხვედრა მაინც ლეგენდას წარმოადგენს, ვინაიდან ხსენებული შეიხი გარდაიცვალა 1334 წელს, ხოლო თემურ-ლენგი დაიბადა ორი წლის შემდეგ — 1336 წელს. შესაძლოა, ვახუშტიმ მეოთხე საკვირველებად სწორედ სეფის მკვდრეთით აღდგომა და თემურთან შეხვედრა მიიჩნია.

მაგრამ სეფი ედ-დინი მართლაც ღირსშესანიშნავი პიროვნება იყო. და ამას ადასტურებს არა ლეგენდები, არამედ მისი თანამედროვე, სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი რაშიდ ედ-დინი.

სეფისადმი გაგზავნილ წერილში რაშიდ ედ-დინი სთავაზობს მას ყოველწლიურ ძღვენს (ხორბალი, ღვინო, ზეთი, შაქარი, თაფლი და სხვა), რათა შეიხი, როგორც წესი და რიგია, გაუმასპინძლდეს არდებილის წარჩინებულთ მოციქულის (ე. ი. მაჰმადის) დაბადების დღესასწაულზე და მხოლოდ ერთს მოითხოვს — ზეიმის დასასრულს ლოცვა აღავლინონ ქველმოქმედის სახელზე.

არსებობს მეორე წერილიც, რომელშიც რაშიდ ედ-დინი თავის ვაჟს, არდებილის გამგებელს, ურჩევს პატივისცემა გამოიჩინოს არდებილის ყველა მცხოვრების მიმართ და განსაკუთრებით აფრთხილებს, რომ მადლიერი და ნასიამოვნები დატოვოს მისი უწმინდესობა შეიხ სეფი ედ-დინი — „ჭეშმარიტების ზეცის სვეტი და ერთგულების ბაღის ვარდის ბუჩქი“.

ასეთი მაღალი რეპუტაცია მოუხვეჭია შეიხს თავის თანამედროვეთა შორის.

ახლა მის წინაპრებსაც გადავავლოთ თვალი. საინტერესოა, რომ შეიხ სეფის პაპა კინაღამ საიქიოს არ გაუსტუმრებია ქართულ ხმალს!

XIII საუკუნის დამდეგს არდებილის სულტანმა „მძვინვარედ მოაოხრა ანისი“, თორმეტი ათასი ქრისტიანი ცხვრებივით დაკლეს ეკლესიებში. თამარ მეფემ სასწრაფოდ დაძრა ლაშქარი არდებილისკენ. მემატიანის სიტყვით „შევიდა დიდსა სპარსეთს, გატეხა არდაველი, დალეწნა ციხე-ქალაქნი და აღავსო სამეფო ალაფითა“ (ცოტა ხნის შემდეგ ძლევამოსილმა ქართულმა მხედრობამ თავრიზი და ყაზვინი აიღო, ხორასნის გზას დაადგა და იმსიშორემდე მიაღწია, სადაც „არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა“).

შეიხ სეფის პაპა ყოთბ ედ-დინი თავისი ოჯახითურთ გაქცევია მაჰმადიანთა მიწაზე შემოჭრილ „ურჯულოებს“, თავი შეუფარებია ქალაქ არდებილს. მაგრამ ლაშქარსაც იგივე მარშრუტი ჰქონდა. ლტოლვილი სარდაფში იმალებოდა ცოლ-შვილთან ერთად. დღის ბოლოს სამალავიდან გამოსულა ამბის გასაგებად. ქართველები ისევ არდებილში იყვნენ. ერთ მეომარს მისთვის ხმალი დაუკრავს კისერში. მძიმედ დაჭრილი ძლივს გადარჩენილა სიკვდილს.

შეიხ სეფი თურმე ხშირად ჰყვებოდა, როცა პაპა მხარზე შემისვამდა, ჩემს პაწია თითებს ჩავყოფდი ხოლმე პაპის კისერზე აღბეჭდილ ნაიარევშიო.

მომავალი შეიხი პატარაობისას სერიოზული და გულჩახვეული ყოფილა, ცელქობა-თამაშობას არ ეტრფოდა. ახალგაზრდობიდანვე დაიგდო „წმინდანის“ სახელი. ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. ცხვრის ტყაპუჭი ეცვა და ახლოსაც არ იკარებდა აბრეშუმის სამოსელს.

მისი მემკვიდრე გახდა სადრ ედ-დინი. მასაც მრავალ სასწაულს მიაწერენ. სწორედ იგი იყო თემურ-ლენგის თანამედროვე და „ოთხი საქმე საკვირველი“ მისთვის უფრო უპრიანია. მაგრამ ყველაზე სახელოვან „სასწაულად“ იმას უთვლიან, რომ თავის ადგილზე დაუბრუნებია არდებილის მთავარი მეჩეთის კარიბჭე, რომელიც ქართველებს ჰქონიათ წაღებული ნადავლად.

ერთი სიტყვით, „სასწაულების“ ჩადენა გვარში მოსდევდათ...

XV საუკუნის განმავლობაში არდებილის მცირე ფეოდალური სამთავრო თანდათან იზრდებოდა და ბოლოს სეფიანთა სახელმწიფოდ გადაიქცა. ამ სახელმწიფოს შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა შვიდი ყიზილბაშური ტომი, გამოსული მცირე აზიიდან და შუა აზიიდან. ყიზილბაში თურქულად „წითელთავიანს“ ნიშნავს. ისინი შიიტები იყვნენ, და მათი წითელი თავსაბურავი შედგებოდა თორმეტი ნაკეცისაგან, რაც სიმბოლურად თორმეტ იმამს აღნიშნავდა (მეოთხე ხალიფას — ალის და მის შთამომავლებს). თავდაპირველად ამ წითელ თავსაბურავს მხოლოდ სეფიანთა სასულიერო პირები ატარებდნენ, შემდგომში კი ყველა ყიზილბაში მეომრის გამოსარჩევი ნიშანი გახდა.

ხაზგასასმელია, რომ ყიზილბაშთა სახელმწიფო არ ყოფილა ირანის ნაციონალური სახელმწიფო.

ოლეარიუსის მიხედვით, სეფიანთა სამეფო კარზე თურქული ენა იყო მიღებული და იშვიათად გაიგონებდა კაცი სპარსულ სიტყვას. შარდენი წერს, რომ სეფიანთა ირანში გავრცელებულია სამი ენა: არაბული — ღვთისმეტყველთა და სწავლულთა ენა, სპარსული — სიტყვაკაზმული მწერლობისა და უბრალო ხალხის (ე. ი. სპარსელების), ხოლო თურქული — სამეფო კარისა და სამხედრო ხალხის (ე. ი. ყიზილბაშთა).

ეს ცნობები დაზუსტებას მოითხოვს. ფრანგი მოგზაურის თევენოს დაკვირვებით, სეფიანთა თურქული იმდენად განსხვავდებოდა ოსმალეთში გავრცელებული თურქულისაგან, რომ თავისუფლად შეიძლება ეწოდოს სრულიად სხვა ენაო. ამასვე გულისხმობდა სულხან-საბა ორბელიანი, როდესაც ევროპაში მოგზაურობისას ამბობდა, მე ყიზილბაშური თათრული ვიციო. „თათრული“ საქართველოში თურქული ენის მნიშვნელობით იხმარებოდა, ხოლო „ყიზილბაშური თათრული“ მოხდენილი სახელწოდებაა სეფიანთა სამეფო კარზე გავრცელებული ენისა, რომელიც თურქულის ერთ-ერთ დიალექტს წარმოადგენდა.

სეფიანთა ირანის პირველი ხელმწიფე იყო შაჰ-ისმაილი (1501-1524 წ. წ)., რომელმაც შიიტობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

იტალიელი მოგზაურების აღწერით, შაჰ-ისმაილი ქალივით ლამაზი და მიმზიდველი ყოფილა, მაგრამ მხარბეჭიანი და ღონიერი, მამაცი მებრძოლი და უბადლო მშვილდოსანი. მათივე სიტყვით „ნერონის დროიდან დღემდე, ფრიად საეჭვოა, თუ არსებობდა ოდესმე ასეთი სისხლისმსმელი ტირანი“.

ყველაფერი კი სამი-ოთხი საკვირველი საქმით დაიწყო და შეიხ სეფის უვნებელმა როკვამ საფუძველი ჩაუყარა სეფიანთა დინასტიას, რომელმაც მრავალი ჭირი მოუტანა მეზობელ ქვეყნებს და მათ შორის საქართველოსაც.

თ. კახიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერვიუს იღებს მკითხველი

სპორტული კლუბი „დროშა“

## სტუმრად ფეხბურთის კარუზოსთან

დღე არ გავა, ჩვენმა ფოსტალიონმა წერილების დიდი დასტა რომ არ მოგვიტანოს. რუბრიკას „ინტერვიუს იღებს მკითხველი“ ეხმაურებიან ახალგაზრდები და ხანდაზმულები, გოგონები და ჭაბუკები, თბილისელები და ისინიც, ვინც ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ. ერთი სიტყვით, ყველა ის, ვისაც გულშემატკივარი ჰქვია.

ეტყობა, არაერთი შეხვედრა და მოგზაურობა მოუწევს ჩვენს სპორტულ მიმომხილველს გივი გამრეკელს. ამჯერად იგი „ფეხბურთის კარუზოს“ — სპორტის დამსახურებულ ოსტატ ბორის პაიჭაძეს ეწვია. ბ. პაიჭაძეს ბევრი მკითხველი წერს: თბილისელები ჯ. მაზიაშვილი, თ. ნოზაძე, რ. მახაშვილი, თ. ხატიაშვილი, გ. მალაციძე, ტ. მელიქსედბეგი, მოსკოველი თ. ოდილავაძე, გორელი ა. ლოლაძე, გ. ქიმმარეიშვილი (ქუთაისი), ო. აბულაძე (აბასთუმანი).

„ფეხბურთის კარუზო“ (ეს სახელი ბ. პაიჭაძეს რუმინეთში შეარქვეს) ლაპარაკობს ნახულსა და განცდილზე, თავის მიდრეკილებებზე, ქართული ფეხბურთის პერსპექტივებზე.

**თქვენ არაერთი მწვრთნელი გყოლიათ, რომელი მათგანის მუშაობის მეთოდი მოგწონთ, რაში გამოიხატებოდა მისი თავისებურება?**

ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენაში, გამოწვრთნასა და დიდ საფეხბურთო ასპარეზზე გამოყვანაში ბადალი არა ჰყავს ანდრო ჟორდანიას. ამდენად დაუფასებელია მისი ღვაწლი ქართული ფეხბურთის წინაშე.

არ შეიძლება არ მოვიგონოთ ქართული ფეხბურთის დიდი მეგობარი ლენინგრადელი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ ბუტუსოვი. იგი 1938-1939 წლებში ავარჯიშებდა თბილისის „დინამოს“. ბუტუსოვი იყო საქმის დიდი მცოდნე, თავდაჭერილი, მომთხოვნი, მშრომელი მწვრთნელი. ჩვენ მასში ვხედავდით გულისხმიერ უფროს მეგობარს, გვჯეროდა ყოველი მისი სიტყვა და ვასრულებდით ურთულეს დავალებებსაც. ჩემს საფეხბურთო ცხოვრებაში მიხეილ ბუტუსოვმა დიდი როლი ითამაშა. ომამდელ წლებში იყო პერიოდი, როდესაც კატეგორიულად იბრძოდნენ ინდივიდუალურად მოთამაშე ფეხბურთელების წინააღმდეგ. სპეციალისტების გარკვეული ჯგუფი ილაშქრებდა ჩემი თამაშის მანერის წინააღმდეგაც. ეს იმდენად ცუდ გავლენას ახდენდა ჩემზე, რომ ზოგჯერ მიფიქრია კიდეც თავი დამენებებინა ფეხბურთისათვის. სწორედ მაშინ მითხრა მიხეილ ბუტუსოვმა: „შენ გჯერა ჩემი? ითამაშე ისე, როგორც თამაშობ, ნურაფერს შეცვლი“. საბედნიეროდ, მეც დავუჯერე მწვრთნელს და ვითამაშე ისე, როგორც შემეძლო.

**ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელად?**

პელე.

**უდიდესი მეკარე იმათგან, ვინც თქვენ გინახავთ?**

ჟმელკოვი. — 1939-1940 წლების სეზონში იგი დაუჯერებელ რამეს სჩადიოდა, სასწაულებს ახდენდა.

**დაასახელეთ თანამედროვეობის უდიდესი თავდამსხმელები მსოფლიოში?**

პელეს გარდა, ჟაირზინიო, მიულერი, ჯაიჩი, ბესტი, ეისებიო, შევჩენკო.

**თქვენ ესწრებოდით მსოფლიო ჩემპიონატებს შვეციასა და ინგლისში. რომელმა მოთამაშეებმა დატოვეს თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

შვეციაში — პელემ, გარინჩამ, დიდიმ, ორივე სანტოსმა, კოპამ, ფონტენმა, ჰამრინმა; ინგლისში — ბ. ჩარლტონმა, ეისებიომ, კოლუნამ, ზეელერმა, ბეკენბაუერმა.

**ახლა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს. როგორ ფიქრობთ, ვისა აქვს ჩემპიონობის კარგი შესაძლებლობა?**

ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. სხვაზე უკეთესი შანსები ეტყობა აქვთ იტალიელებს, ესპანელებს, ინგლისელებს.

**სექტემბრიდან თბილისის „დინამო“ ჩაებმება უეფას ტურნირში (ყოფილი „ბაზრობათა თასი“) როგორია მისი შანსები?**

აქ დიდი მნიშვნელობა აქვს კენჭისყრას. სანამ არ ვიცით, ვინ იქნება მეტოქე, კონკრეტულად ვერ ვიმსჯელებთ.

**როდის მიიღეთ ყველაზე უფრო სერიოზული ტრამვა?**

1947 წელს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის თასის მატჩში მოსკოვის „ტორპედოსთან“.

**რომელი მცველი იყო თქვენთვის ყველაზე უფრო „უხერხული“?**

ლენინგრადელი ოლეგ ოშენკოვი. მთელი თამაშის მანძილზე უკან დამდევდა ჩრდილივით, ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა.

**რომელ სტადიონზე თამაშობდით ყველაზე უფრო მეტი სიამოვნებით?**

ჩვენი სტადიონის გარდა, კიევისა და ლენინგრადის სტადიონებზე.

**რომელ ქვეყნებში გითამაშიათ?**

ჩვენ დროს, მოგეხსენებათ არ იყო ესოდენ ინტენსიური სპორტული კავშირები, როგორც ახლა. მე მითამაშნია ირანსა და რუმინეთში.

**ყველაზე უფრო სამახსოვრო მატჩი?**

ეს იყო 1939 წელს ცდკა-სთან. პირველი ტაიმი წავაგეთ ანგარიშით 1:4. ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, მწვრთნელი მ. ბუტუსოვი ღიმილით შემოვიდა გასახდელში (ერთი წუთით წარმოიდგინეთ თქვენთვის ცნობილი უამრავი მწვრთნელის სახეები, თუნდაც ლაპარაკის ტონი ესოდენ სამწუხარო ვითარებაში) მან გვითხრა: „ბრძოლა გრძელდება. ვითამაშოთ ადგილების გადანაცვლებით თავდასხმაში“. ერთი სიტყვით, მხიარულმა და იმედიანმა ბუტუსოვმა შეძლო ნირწახდენილი ფეხბურთელების აღფრთოვანება. შედეგი თქვენთვის ცნობილია, მეტოქეს მეორე ტაიმში პირდაპირ შავი დღე ვაყარეთ და მოვიგეთ ანგარიშით — 5:4. ეს მატჩი, რა თქმა უნდა, სამუდამოდ დამამახსოვრდა.

**როგორი იყო თქვენი რეაქცია დაუმსახურებელ კრიტიკაზე?**

ასეთ კრიტიკას მხოლოდ ზიანი მოაქვს. მე მას ყურადღებას არ ვაქცევდი.

**რა აზრისა ხართ ქალთა ფეხბურთზე?**

ქალთა წარმატებები თანამედროვე სპორტში განუზომელია, ამ შემთხვევაში მოტევებას ვითხოვ — ფეხბურთი არ მიმაჩნია ქალურ სპორტად.

**რა მიგაჩნიათ ქართული სპორტის უდიდეს მიღწევად მისი არსებობის მთელ მანძილზე?**

„ჩემი სამრეკლოდან“ — 1936 წელი, როდესაც დაუმარცხებლად მოვიპოვეთ საბჭოთა ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება. ზედიზედ ორჯერ თასის ფინალში თამაში და, რა თქმა უნდა, თბილისის „დინამოს“ 1964 წლის ჩემპიონობა. მაგრამ რა ვუყოთ ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, გივი კარტოზიას, ვახტანგ ბალავაძის, რომან რურუას, ნინო დუმბაძის, რობერტ შავლაყაძის, გულო რცხილაძის, ოთარ ქორქიასა და სხვათა მიღწევებს?

**რომელ სეზონში ჰყავდა თბილისის „დინამოს“ ყველაზე უფრო ძლიერი შემადგენლობა?**

1964 წელს, თუმცა არც 1946 წლის შემადგენლობა იყო ურიგო.

**რას უსურვებდით თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელებს?**

მეტ შემართებას, აგრესიას, მეტ მანევრულობას, შორიდან უკეთ, ხშირ დარტყმებს.

**ვინ მიგაჩნიათ დღეისათვის საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო ტექნიკურ თავდამსხმელად?**

შევჩენკო.

**ვინ მიგაჩნიათ უძლიერეს ცენტრალურ თავდამსხმელად საბჭოთა კავშირში?**

ძნელი სათქმელია. ჩვენ ხომ ესოდენ ღარიბები ვართ ცენტრალური თავდამსხმელებით.

**თქვენ თვალყურს ადევნებთ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს, იმათ, ვისაც ჯერ კიდევ არ უთამაშიათ ძირითად შემადგენლობაში. ვისი იმედი გაქვთ?**

მე მომწონს დათო ყიფიანის, ვოვა გუცაევის, მერაბ ჩახუნაშვილის, უმცროსი მაჩაიძის — გოჩას თამაში.

**სპორტის სხვა რომელი სახეები გიტაცებთ?**

ცხენოსნობა, ტანვარჯიში, ჭიდაობა, კალათბურთი.

**როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?**

ვკითხულობ ქართულ წიგნებს, ვესწრები ბავშვთა შეჯიბრებებს, ვერთობი შვილიშვილებთან.

**თქვენი საყვარელი წიგნი?**

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ და მისივე პიესა „ერეკლე მეორე“.

**საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები?**

რევაზ ლაღიძის „თბილისი“.

**მსახიობი?**

ვასო გოძიაშვილი.

**კინოფილმი?**

„ჯარისკაცის მამა“.

**მომღერალი?**

ზურაბ ანჯაფარიძე.

**სპორტსმენი?**

გივი კარტოზია.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# სად რა მოხდა





## იშვიათი სუვენირი

ლონდონში, ბრომპტონის ქუჩაზე ავტოავარია მოხდა. დამნაშავე აღმოჩნდა ბრიტანეთის პრინცესა, რომელმაც მოძრაობის წესები დაარღვია და თავისი მანქანა ტაქსომოტორს დაეჯახა.

მართალია, ავტოავარიას, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ ტაქსი იმდენად დაზიანდა, რომ მის შესაკეთებლად დიდი თანხა იყო საჭირო.

სასოწარკვეთილ ტაქსის პატრონს პოლიციელმა ურჩია მეფის სასახლისათვის მიემართა და მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოეთხოვა. შოფერი მოერიდა ასეთ მაღალ დონეზე კონფლიქტს. ფულის საშოვნელად მან უფრო იოლი და უფრო უკეთესი გზა გამონახა. მან ბაზარზე გამოიტანა თავისი დამტვრეული მანქანა ასეთი წარწერით: „იყიდეთ ნაწილები მანქანისა, რომელიც დაამსხვრია დიდი ბრიტანეთის პრინცესამ“. სენსაციას დახარბებული ამერიკელი ტურისტები ერთიმეორეს ეცილებოდნენ ამ მანქანის დეტალების შეძენის დროს.

## ბენზინი და სასაფლაო

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ სპრინგფილდის (ტენესის შტატი) სასაფლაოზე დგას ძეგლი, რომელსაც აწერია: „აქ, ამ საფლავში, მომავალში უნდა განისვენოს ბენზინის კოლონის მეპატრონე რეჯინალდ ტეიპის გვამმა. ჯერჯერობით იგი ცოცხალია და შეუძლია ბენზინით მოგამარაგოთ დღე-ღამის ყოველ დროს ტყის ქუჩის კუთხეში და საეკლესიო პროსპექტზე“.

უცნაურმა რეკლამამ გასჭრა. რეჯინალდ ტეიპი ყოველდღიურად დიდძალ ბენზინს ასაღებს.

## ჰამლეტი და... ჯეიმს ბონდი

როგორც ამერიკული გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“ აღნიშნავს, ინგლისელ მკითხველთა შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამჟამად ინგლისში ყველაზე ცნობილი მწერალია არა შექსპირი, არამედ იან ფლემინგი, რომელმაც დეტექტური რომანების მთელი სერია დაწერა მოხერხებულ მზვერავ ჯეიმს ბონდიზე.

აღნიშნული გაზეთი ირწმუნება, დიდ ბრიტანეთში შექსპირის დრამებს ახლა მხოლოდ მოსწავლეები კითხულობენ და ისიც იმიტომ, რომ ეს დრამები შეტანილია სასკოლო პროგრამებში.



## საეჭვო გასართობი

ფილატელისტები მარკებს აგროვებენ, ფილუმენისტები — ასანთის კოლოფების ეტიკეტებს, პერიდრომოლოგისტები — რკინიგზის ბილეთებს. შედარებით ნაკლებად არიან ცნობილნი ფრომალოგისტები, რომლებიც ყველის ეტიკეტების შეგროვებით არიან გატაცებულნი.

საფრანგეთში ახლახან ახალმა გატაცებამ იფეთქა. გამოჩნდნენ კოლექციონერები, რომლებმაც ბინების გასაღებების შეგროვება დაიწყეს. პარიზის პოლიცია დიდად შეშფოთებულია. უკვე იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ამ ახალი მოდის კოლექციონერებმა რამდენიმე ბინა გატეხეს.



## განგსტერები და მოსეირნენი

ნიუ-იორკში ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მოდური რეკლამა იუწყება: „თუ თქვენ ჩვეულებად გაქვთ სალამო ხანს სუფთა ჰაერზე გასეირნება, კეთილ ინებეთ, და შეიძინეთ ჩვენი „მირიამ ლაიფ სეიფგარდი!“ ასე ეძახიან ამერიკაში ქალებისა და ჯენტლმენებისათვის შექმნილ ახალმოდურ შლიაპებს, რომლებსაც შუასაფენი სპეციალური ნივთიერებისაგან აქვთ დამზადებული. როგორც ქუდის შემქმნელები ირწმუნებიან, ეს საფენი სრულ გარანტიას იძლევა, რომ ძლიერი დარტყმის დროსაც კი თავი დაუზიანებელი დარჩება.

გასაგებია, რომ განგსტერები დიდად შეშფოთებულნი არიან ასეთი ქუდების შემოღების გამო.



## ვეფხვი და თერმომეტრი

ზოოპარკში გამომწყვდეული ავადმყოფი ვეფხვი ძალზე საცოდავი სანახავია. როგორ გინდა უწამლო? როგორ უნდა გაუზომო ტემპერატურა ასეთ საშიშ ავადმყოფს? თერმომეტრს მას ვერც იღლიაში ჩაუდებ და ვერც პირში.

ინგლისელი ბიოლოგები ასეთ მეთოდს გვთავაზობენ: ყველა ცოცხალი არსება და მათ შორის, რა თქმა უნდა, ვეფხვებიც, ინფრაწითელ სხივებს გამოსცემენ. თუ პაციენტს მივუშვერთ ობიექტივს, რომელზეც თერმომეტრი იქნება დამაგრებული, მაშინ ტემპერატურა ოცდაცამეტი მეტრის მანძილიდან შეგვიძლია ორი წამის განმავლობაში გავზომოთ.

გარეკანის პირველ გვერდზე: საკოლმეურნეო ბაზრობა (ფრაგმენტი), მეოთხე გვერდზე: რაჭა. [redacted]. მხატვარი უჩა ჯაფარიძე.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/V-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/V-71 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 1790. უე 03627.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



პირველკლასელი. ფოტო ბ. დადვაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056